ყოველი ბოლოსა, „ყოველსა“ ერითა

ვერსია

№85 (841) 26-27 აგვისტო, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თვითრი

ლენტეხის საკრებულოს მთვრალმა წევრებმა გამგებელი ზაზა ლიპარტელიანი კანონში არარსებული მუხლის საფუძველზე გადააყენეს

როგორ ცდილობს გოგი დიპარტელიანი ძველი დიდების დაბრუნებას და რას ჰყვებიან ლენტეხელები „რესპუბლიკელ“ სოსო მუკბანიანის წარსულზე

გვ. 4

„თუ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, ვითარება აიჭრება!“

სოსო ცინცაძე მარგველაშვილისა და ბურჯანაძის შანსებს აფასებს

გვ. 8

როგორ მართავს სპეცსამსახური ეკლესიას

მამა თეოდორე გიგნაძე:
„70 წლის განმავლობაში, კაგებე-ს ჩარევის გარეშე მღვდელი ვერ გახდებოდი... ის მღვდლები ხომ არსად წასულან?!“

გვ. 5

ირინა სარიშვილის შოკისმომგვრელი პოლიტიკური ანალიზი

რაზომ უღალატებს თეა წულუკიანი ირაკლი ალასანიას, ვინ არიან ქართულ პოლიტიკაში ყველაზე ცნობილი ვაჭრები და რა კომპრომატები აქვს „ოცნებას“ ბურჯანაძეზე

გვ. 3

ლევტა ბელოვანი

მთაწმინდა აღშფოთებულა

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

მშობლებო, თუ თქვენი შვილი სასკოლო სახელმძღვანელოს დააზიანებს, დაისჯებით!

გვ. 8

რა ხდება ხუთშაბათობით თბილისის საკრებულოს მისალებში

გვ. 9

გაკოტრდება თუ არა „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“

გვ. 6

დიდი აურზაური სადაზღვევო ბაზარზე

სოფელი და სამღვდელოება ეკლესიიდან 55 ლარის მოპარვისთვის დაჭერილი 21 წლის ბიჭის შეწყალებას ითხოვს!

გვ. 11

მრავალშვილიანი ოჯახის ტრაგედია უგმირად — ცხოვრება აბანოს ყოფილ შენობაში, შიმშილით სიკვდილის მოლოდინი და წართმეული ბავშვობა

რა ელის კომპანიაში დაზღვეულებს

თბილისის 17 მილიონით გაზრდილი ბიუჯეტის ჩრდილოვანი მხარეები



რაზომ დააკმაყოფილა „ოცნების“ საკრებულომ გიგი უგულავას მოთხოვნა და რა ლონისძიებები დაფინანსდა 2013 წლის 6 თვეში დედაქალაქის ბიუჯეტით

გვ. 7

მთაწმინდა აღშფოთებულა

დიტო გელოვანი

ესენი ერთად საშინელი სანახავია: შავი ჭირი, მტრის ურდოები, ხანძარი, მიწისძვრები, ქარიშხლები და ქარბორბალები, ნაირგვარი ცხოველების, ფრინველების, თევზების შემოსევები, ავარიები ელექტროსადგურებზე, აფეთქებები ახლომდებარე სამხედრო ბაზებზე, წყალსადენის მოწამვლა, დივერსიები, ნაგვის ეპიდემიები და ასეთი რამეები. ყოველ ამათგანს საუკუნის შესაბამისად აკლდება ან ემატება ძალა. შეგიძლია ყველა ეს უბედურება, პანდორას უჯრა თუ რაღაც ჯანდაბაა, საერთოდ გამორთო და მშვიდობიან ცხოვრებას მიაწვე, მაგრამ მაშინ ნამდვილი ცხოვრება, ანუ ნამდვილი თამაში, აღარ გამოვა. თანაც, ამას კი გამორთავ, მაგრამ შენს ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს რაღას უზამ?

(აკა მორჩილაძე, „ვეშაპი მადათოვ ზე“)

ნამდვილი ცხოვრებაც ამას ჰქვია: არჩევა-გადარჩევები, დანიშვნა-მოხსნები, გახსნა-დახურვები, გადასვლა-გადმოსვლები, შეკრება-დაშლები, დაშლა-არმოშლები... ეს რომ გამორთო, ცხოვრება მოსაწყენი გახდება. ცხოვრება ის არის, ხვალინდელი დღის იმედი რომ აღარ გაქვს, მაგრამ ხვალინდელი დღე მაინც რომ თენდება და ისევ რომ არ გაქვს ხვალინდელი დღის იმედი. თევზების შემოსევა იქით იყოს, იქით იყოს ავარიები ელექტროსადგურებზე, ნაგვის ეპიდემიები კი კარგა გვარიანად გაგრძელდა და რა ვუყოთ იმას, ნაგავში ცხოვრება სულაც რომ არ არის ნამდვილი ცხოვრება? ქარიშხლებს კიდევ აიტანდა კაცი, ამ ქარიშხლებს ნაგავი რომ არ მოჰქონდეს.

მოდის კანონმდებლებს კიდევ მოუყრუებ ყურს, დაიკიდებ და გულზე მოგეშვება, მაგრამ ნაგვის კანონმდებლებს რა უნდა უყო? ერთია — ნაგავს უნდა გააყოლო, მაგრამ ჯერ ცოცხს უნდა დაუბრუნდეს თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება.

მაგრამ, აქანდაზიც რომ არსად ჩანს?..

გასულ კვირაში კი, ბევრი ნაგავი იყო — „მეცხრე არხს“ შესეული ყრანტალა ყვავ-ყორნებით დაწყებული და ხელმოწერების შეგროვებით დაკავებული ხვლიკით დამთავრებული. ეს რომ ევროპული ქვეყანა იყოს, რამდენიმე ბუნკერი დაიდგმებოდა და დახარისხდებოდა — ორგანული ნარჩენები, არაორგანული ნარჩენები, მაკულატურა და სხვა, მაგრამ მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელობაზე მეოცნებე. მთლად რამდენიმე ბუნკერი არ გამოდის, ბუნკერი ერთია, თუმცა ვცდილობ, ამ ერთ ბუნკერში ყველას თავისი კუთხე მივუჩინო,რადგან იქ არაფერი შეცვლილა, საიდანაც ვერაფერს წაშლი და ა, ბატონო: „თბილისის დამწვრობის ცენტრში ლეღვის ფოთლების ნახარშით დამწვარ 21 წლის პაციენტს მკურნალობენ. როგორც თბილისის რეფერალური კლინიკის დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელმა, გუგაქაშიბაძემ განაცხადა, 21 წლის გოგონა დამწვრობის ცენტრში მიიყვანეს, რომელსაც გარუჯვისთვის ლეღვის ფოთლების ნახარში ჰქონდა სხეულზე გადავლებული. გოგონას სხეულის 35% აქვს დამწვარი.

გუგა ქაშიბაძის განცხადებით, მიმდინარე წელს ლეღვის ფოთლის ნახარშით დამწვრობის მეორე შემთხვევა დაფიქსირდა“.

ისევ ლეღვის ნახარშს რომ მივუბრუნდე, შარშან ამ დროს, დამწვრობის რამდენიმე ათეული შემთხვევა იყო. დარწმუნებული ვარ, წელსაც არ იქნებოდა ნაკლები, თუმცა, როგორც ექიმი ამბობს, მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ეს იმიტომ, რომ დანარჩენებს შერცხვათ და არ გაახმაურეს. აბა, რა საამაყოა, ყველამ გაიგოს, დებილი რომ ხარ?

ანაც ეს: „ეს რეზიდენცია, რომელიც არის ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია, თავის დროზე, იყო ცეკას მდივნის რეზიდენცია, მერე ასლან აბაშიძის, მერე საქართველოს პრეზიდენტის. რეზიდენცია, სადაც მე საკმაოდ იშვიათად ვჩერდებოდი და ბოლო ერთი წელი პრაქტიკულად არც ვყოფილვარ, გადავცეთ დასასვენებელ სახლად ომში დაღუპულების ოჯახის წევრებს ისევე, როგორც ჩვენი შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს. პატარა შეცვლა დასჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ აქ დადიოდნენ ჩვენი სამხედროები თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, დადიოდნენ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში დაჭრილები რეაბილიტაციისთვის და იმ სამხედროების ოჯახის წევრები, ვინც თავი შესწირა სამშობლოს“.

ერთი ომიდან ოცი წელი გავიდა, მეორე ომიდან — ხუთი წელი, რეზიდენცია არსებობდა, მაგრამ იშვიათად იყენებდნენ და ახლა ეს, რა ჰქვია... მიშა ამბობს, დაჭრილებს რეაბილიტაცია სჭირდებათ და აჰა, მომიძღვნიაო. „პატარა შეცვლა“ კი, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, იქნება ის, რომ გასვლის წინ გაძარცვავს და გააპარტახებს. ტყუილად კი არ უწოდეს „მაოხრებელი მკვდარი“! რასაც აკეთებს, ყველაფერს საზიანოდ აკეთებს და ამას გაფუჭება ჰქვია. კაგებე-ს სკოლაა — თუ მიდიხარ, ნაღმი უნდა ჩადო და ვინც აფეთქდება, იმან იკითხოს, თორემ შენ უკვე შორს იქნები.

ჰოდა, გასულ კვირაში ცესკო-ს თავმჯდომარეობა ენჯეოშნიკებს რომ შესთავაზა, ესეც ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ.

ენჯეოშნიკებმა განიხილეს (სულ 7 ათასი ენჯეოა რეგისტრირებული, განხილვაში კი მხოლოდ 11 მონაწილეობდა) და წარადგინეს ვინმე თამარ ჟვანია, რომელზეც სააკაშვილმა თქვა, საერთოდ არ ვიცნობო, მაგრამ ეგ იმასაც ამბობდა, დათა ახალაიას არ ვიცნობ, სოსო თოფურიძე კი ერთადერთხელ ვნახე და მაშინაც შერონ სტოუნის მძღოლი მეგონაო.

ეგ ჯერ კიდევ გასარკვევია, იცნობს თუ არა საკაშვილი ჟვანიას, მაგრამ ჩვენ (საზოგადოებას მინუს სამოქალაქო საზოგადოება) რომ არ ვიცნობთ, ფაქტია და ხომ უნდა გავიცნოთ, ბოლო-ბოლო?

„თამარ ჟვანიას მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო ტრეინინგებში, პროექტებსა და კვლევებში“, — სხარტად და გასაგებად აღნიშნა ნინო ლომჯარიამ და, სიმართლე გითხრათ, ასეთი ყოვლისმომცველი და ამომწურავი დახასიათება ჯერ არ მომისმენია. განა მართლა დიდებული არ არის, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით და ადგილობრივ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე (თან, არც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა გამორიცხული) შენი ქვეყნის ცესკო-ს თავმჯდომარედ „რესურსების განვითარების პროგრამის სრულად აკრედიტებული ფასილიტატორი“ რომ ინიშნება?!

არადა, სააკაშვილმა, ცესკოს თავმჯდომარეობა კოჟორიძეს, ლომჯარიას და გიგაურს შევთავაზეო... ამხელა კაცია და „რესურსების განვითარების პროგრამის სრულად აკრედიტებული ფასილიტატორის“ შესახებ არაფერი სმენია. სამაგიეროდ, მიაჩნია, რომ „ლომჯარია და გიგაური არიან გულანთებული, ნორმალური ადამიანები“ და ამბობს: „ამიტომ შევთავაზე მათ. ძალიან მესიმპათიურება ეს ხალხი“.

ანუ სამს შესთავაზა, მაგრამ ამ სამიდან მხოლოდ ნინო და ეკა ესიმპათიურება. კახა? კახას რა? რა და — ხალხის სიყვარული.

ძაან მაგარი კი ის იყო, რომ ჟვანიას კანდიდატურას ბურჯანაძე მიესალმა. ხმებს ჟვანია დაითვლის, სააკაშვილს კი შეცვლის ბურჯანაძე.

„იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მსგავსად, მმართველი კოალიციაც გამოავლენს საკუთარ ნებას, მხარი დაუჭიროს ჩვენს მიერ დასახელებულ კანდიდატს არჩევანის გაკეთების დროს“, — აღნიშნა სააკაშვილის ორი შთაგონების წყაროდან ერთ-ერთმა, ნინო ლომჯარიამ.

ჰო, ჰო... სწორედ მაგიტომ მოხდა პირველი ოქტომბერი, „ქართულ ოცნება“ სააკაშვილის მსგავსად რომ ავლენდეს საკუთარ ნებას. სწორედ მაგიტომ! და, ავლენს კიდეც.

„მთავრობის კანცელარიიდან სამთავრობო უწყებებმა, მთაწმინდის პარკში გადაადგილების გამო, გაფრთხილება მიიღეს. როგორც „ინტერ-პრესნიუსს“ კანცელარიის პრესსამსახურში განუცხადეს, კანცელარიაში შესული განცხადების შემდეგ, უფროსმა მაია ცქიტიშვილმა წერილი ყველა უწყებას გაუგზავნა და მთაწმინდის პარკში გადაადგილებასთან დაკავშირებით გაფრთხილება მისცა. კანცელარიის პრესსამსახურში ვერ აკონკრეტებენ, თუ რომელ უწყებებზე ჰქონდა მთაწმინდის პარკის ადმინისტრაციას პრეტენზიები. მათი თქმით, წერილში საუბარი ზოგადად სამთავრობო მანქანების კოლონებზე იყო. „ყველა უწყებამ მიიღო გაფრთხილება და იმედი გვაქვს, მსგავსი პრობლემა აღარ შეიქმნება. ჩვენ რამდენადაც ვიცით, მთაწმინდის პარკსაც აღარ აქვს პრეტენზიები“, — აცხადებენ მთავრობის კანცელარიაში“.

როგორც მიხვდით, ეს ნიუსი ჩემი საძმადნაფიცოს ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა გაავრცელა. მადლობა მას. რომ არა იგი, მაშ როგორ დადასტურდებოდა ჩვენი ეჭვი იმის თაობაზე, რომ მთავრობა ესე აღსავსეა გოიმებით? მართალია, მთაწმინდის პარკის დირექტორს აღარ აქვს პრეტენზიები, მაგრამ მთაწმინდა ჯერ პანთეონია და მხოლოდ ამის შემდეგ — პარკი. პანთეონში კი წუხან — „ბედნიერი ერი“ დღეს ბევრად უფრო ბედნიერია, ვინემ ოდესმე. ჰო, მართლა... საიდან შეიტყო მთავრობის კანცელარიამ, რომ მთაწმინდის პარკში მაღალნი გვამნი ავტომობილებით დაშლიგინებდნენ? თურმე, დირექტორს მიუწერია: „სხვადასხვა სამთავრობო უწყების პირველი პირები, სისტემატურად, ნებისმიერ დროს ითხოვენ გადაადგილებას პარკის ტერიტორიაზე, რესტორნის მიმართულებით, ამის გამო პარკის ვიზიტორებს სერიოზული დისკომფორტი ექმნებათ, რის გამოც ღიად გამოთქვამენ უკმაყოფილებას“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა სამთავრობო უწყებების პირველი პირები სისტემატურად დაბრძანდებიან რესტორანში, ჭამენ მწვადს, აყოლებენ შამპანურს და ყველა, ვინც ასე არ და ვერ იქცევა, მათთვის არის ბავშვობაში რადიატორთან მჯდომი ვალოდია ჯინჭარაძე, ანუ ვიღაც ამომრჩეველი.

ვაჰ, ნაცებო, თქვენ კი მოგხვდათ არმაგედონის ზანგის, არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის რომ მოგვიწია!

„საით მიიწევთ, უგუნურნო, საით?“ — კაპიტან ბლადს თავისი საყვარელი ჰორაციუსის სიტყვები გაახსენდა“.

საერთოდ არ გამახსენდებოდა არმაზ ახვლედიანი, ამ ოქრო-სიტყვებით თვითონ რომ არ შეეხსენებინა თავი. „როდესაც ბატონი ბიძინა პოლიტიკაში მოვიდა, ბევრს უკვირდა მისი აქცენტები. გავიდა დრო და უმრავლესობა დარწმუნდა, რომ ეს იყო სწორი აქცენტები. ახლაც, პრემიერ-მინისტრის აქცენტი არის ერთადერთი სწორი. როდესაც ამბობს, რომ უმთავრესია შევეხიდოთ, შევეშველოთ ჩვენს საზოგადოებას განვითარებაში. საზოგადოება უმთავრესია და იქიდან გამომდინარეა ჩვენი პოლიტიკური პროცესი. ასე სახელმწიფოებრივად აღიქვამს სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების მნიშვნელობას პრემიერ-მინისტრი, ამიტომ მის აზრს მთლიანად ვეთანხმები“.

მინდა გითხრათ, რომ როდესაც „ბატონი ბიძინა“ პოლიტიკაში მოვიდა, უამრავი ადამიანი დახვდა, რომლებიც არასოდეს ერიდებოდნენ ნაცბანდის დედის გინებას და მამის კრიტიკას, თუმცა მათ შორის არ იყო ერთი ბატონი... მას სადღაც, ქალაქის ცენტრში, რომელიღაც პარკის ერთ-ერთი ბუჩქის ძირას მოწყობილი ჰქონდა „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა“, რომლის კურსდამთავრებულთა სიას ამ დღეებში სიამოვნებით გადავხედავ და მის შინაარსს თქვენც გაგაცნობთ, მანამდე კი ნიუსის დასასრულს გაახლებთ: „კოალიცია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ეთანხმება ასევე პრემიერის მოსაზრებას, რომ ქართულ საზოგადოებას დაბალი პოლიტიკური კულტურა აქვს. მისივე თქმით, სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურა საქართველოში არ არის სათანადო და ამისთვის საჭიროა მეტი განათლება და ტრადიციის ჩამოყალიბება. „ამას კი მკურნალობის დაწყება ქვემოდან, საზოგადოებიდან სჭირდება. ამდენად, პრემიერის აქცენტი არის ზუსტი და დროული“, — დასძინა არმაზ ახვლედიანმა“.

ჰოოო... ივანიშვილს ეს არ უნდა ეთქვა. იმედს ვიტოვებ, რომ ბოდიშსაც მოიხდის — ცხელ გულზე ვთქვიო. მართალი გითხრათ, მომწონს ხოლმე, მერე რომ გადათქვამს, მაგრამ რაღაც ხშირად ხდება ეს გადათქმა-გადმოთქმები და არ მომწონს. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რომ გადათქვამს თუ არა ივანიშვილი, ასევე გადათქვამს არმაზ ახვლედიანიც — ცხელ გულზე დავეთანხმეო და გაიგე ახლა, სად ასვენია საქართველოს ცხელი გული, მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში თუ კოალიცია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის კაბინეტში!

მოკლედ, გასულ კვირაში ბევრი ნაგავი იყო, ყველაზე დიდი სიმყრალე კი „მეცხრე არხის“ გარშემო დაიყარა.

ტელევიზია ივანიშვილის არის და როცა უნდა — დახურავს და როცა უნდა — გახსნის. არავის საქმე არ არის ეს, მით უმეტეს, ივანიშვილმა ძალიან ზუსტად ახსნა — „თვეში მილიონს ვხარჯავდი და ამ ფულს სხვა საქმეს მოვახმარ“. „მეცხრე არხის“ ერთმა თანამშრომელმა მითხრა, ერთადერთი ის მამშვიდებს, რომ ვიცი, ამ ფულს რამე კეთილი საქმისთვის დახარჯავსო. ბევრი ამბობს იგივეს. ჟურნალისტები გულდაწყვეტილები არიან, თუმცა ყველაფერი კარგად ესმით, მთავარი ხომ გაგებაა?!

მჯერა, არავინ დარჩება უმუშევარი და ამიტომ ამ ამბის მედლის მეორე მხარე უფრო მაინტერესებს, რომელიც გვამცნობს, რომ ზოგი ჭირი მარგებელია. მხოლოდ ზოგი ჭირია მარგებელი, არასამთავრობო სექტორი კი ის ჭირია, რომელიც ვერასოდეს იქნება მარგებელი. ეს არის სენი, მაგრამ მედიცინაში ჩახედული ადამიანებისგან ვიცი, რომ ზოგი დაავადება, მიმდინარეობის დროს, თვითონ გამოიმუშავებს რაღაც-რაღაცებს, რაც შემდეგ თავად ებრძვის ამ დაავადებას.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიაექსპერტებმა და, უბრალოდ, ექსპერტებმა გამოიმუშავეს „ვყიდულობთ მეცხრე არხს და ვქმნით საალეიო საზოგადოებას“.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ენჯეოშნიკებს ალალად ვეტყოდი: „ღმერთმა ხელი მოგიმართოთ“.

ტელევიზია უნდა იყოს მომგებიანი — ეს სიტყვები გვესმის და იწერება ამ დღეების განმავლობაში. მომავალი აქციონერები მსჯელობენ, როგორ შეკვეცენ ხარჯებს, როგორ მოიზიდავენ რეკლამებს, როგორ ჩადებენ მოგებას განვითარებაში და ა.შ. თავიდან 3 ათასზე მეტნი იყვნენ, ამ წუთისთვის 400-მდეა დარჩენილი („მკვდრის სკივრს თხუთმეტი კაციღა შერჩა, იო-ჰო-ჰო და ბოთლი რომი“), დანარჩენებისთვის ქილა ერბო ადრეულ სტადიაზევე გატყდა, რადგან გული გატყდა — იქ ისეთმა გვარებმა და გვამებმა მოიყარეს თავი.

მსჯელობენ მოგებაზე, თუმცა იციან, რომ სარეკლამო ბაზარი... ეეეჰ, რა პაწაწკინტელაა! სამაგიეროდ, არიან ფონდები, არიან დონორები და ნაციონალები. ისინი არიან და იქნება გრანტები. იქნება გრანტები და იქნება მოგება, ოღონდ ვინ მოიგებს — ასო-მთავრულები თუ საზოგადოება?

მოიგებს საზოგადოება! საზოგადოებამ ხომ მხოლოდ მაშინ მოიგო, როდესაც ნაცთა ჭეშმარიტი სახე აღმოაჩინა, ოდეს ცოცხები იხილა ტელევიზორში?!

აბა, ჰე — ერთი კარგი ტელევიზია თქვენზე იყოს და სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს.

დალოცვილებო, ხომ არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებელი და ხომ გყავდათ იქ ორი წარმომადგენელი — ნინო დანელია და შორენა შავერდაშვილი? მაშ, რაღა საჭიროა ეს: „დღეს ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ტელევიზია იყიდება, თუკი მყიდველი გამყიდველთან შეთანხმდება. საქართველოს მოსახლეობას ნამდვილად შეუძლია შეიძინოს ტელევიზია, რომელიც შეღავათიან პირობებში იყიდება“.

მე ის მიხარია, რომ მაგათ ბოლს ნელ-ნელა ძალა ეკარგება, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ პლანი არის ცუდი — აფუჭებს კბილებს, აშრობს ტვინს... მოკლედ, ბომჟობაა.

გულდასაწყვეტი ის არის, რომ ივანიშვილი პირადად უნდა მისულიყო ტელევიზიაში და პირადად უნდა აეხსნა ჟურნალისტებისთვის ყველაფერი. მაშინ აღარ დასჭირდებოდა, ვიღაც-ვიღაცების მიერ ყურში ჩაწვეთებული ტყუილების გამეორება, თითქოს მეცხრე არხზე მუშაობდნენ არაპროფესიონალები, გამოუცდელი დამწყებები და საბოლოოდ დამთავრებულები.

„რაც შეეხება გამოცდილებას, ამაში ნამდვილად ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილს, რადგან არჩევნების წინაპერიოდში იქ სხვა გუნდი იყო, აბსოლუტურად სხვა გამოცდილებით და ეს იყო სხვა გუნდი საქართველოს რეალობაში. არჩევნების შემდეგ ბევრი ადამიანი წავიდა არხიდან. შემდეგდროინდელ გუნდში დიდი ნაწილი გამოუცდელი იყო, რაღაც ნაწილი — გამოცდილი. პრემიერს ამაშიც შემიძლია დავეთანხმო, რომ იქ მომუშავეები იღებდნენ ხელფასს და მეორეც, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რა პროექტი იყო „მე-9 არხი“ და „ინფო-9“. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ძირითადი გუნდი წავიდა ტელევიზიიდან“, — ეს სიტყვები ერთი ცნობილი მედიაექსპერტის, ქართული ჟურნალისტიკის დედის ბაგეთაგან წარმოდინდა.

ძირითადი გუნდი წავიდაო... ამ „ძირითადმა გუნდმა“ იყო, 500-ლარიანი ინტერნეტი 10 ათას ლარად რომ ჩართო, 100-ლარიან სკამებში 2 ათასი ლარი რომ გადაიხადა, უვარგის პროგრამებში მილიონი რომ გადააგდო და ჟურნალისტები შეყარა შენობაში, სადაც ჟანგბადი ჭირს და გასულ კვირაში დადებული დასკვნის მიხედვით, ადამიანი ყოველ ერთ საათში გარეთ უნდა გავიდეს და ჰაერი ჩაისუნთქოს, თუ უნდა რომ რამე უკურნებელით არ დაავადდეს.

ეს „ძირითადი გუნდი“ იყო მეცხრე არხის რეკლამირებისთვის თვეში 30 ათას ლარს რომ უხდიდა ჟურნალს, რომელსაც თვეში მხოლოდ 30 მკითხველი ჰყავს და აქედან ერთი გამომცემელია, მეორე — მთავარი რედაქტორი, მესამე — რედაქტორი, მეოთხე — კორექტორი და მეხუთე — სტილისტი.

თუ კიდევ გააგრძელებენ ეგეთ რაღაცებს და საღოლ მაგათ!

უფრო სწორად — ერთი, მაგათიც!!!

ბოლოსთვის კი, ის ამბავი შემოვინახე — „კასპის გამგებელი ოლეგ იაძე შესაძლოა, თანამდებობიდან გადადგეს“.

რას ჰქვია „შესაძლოა“?! თუ „პატარა ბიძინა“ ხარ, პატარა ბიძინა იყავი, რადგან ბიძინა აუცილებლად გადადგება და, ისა... კასპის ტელევიზიაში რა ხდება? იმასაც ხურავენ? რას ამბობს „ქართული ოცნების“ კასპის რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივნი? ხომ სრულად და თავიდან ბოლომდე ეთანხმება „პატარა ბიძინას“ მოსაზრებას, რომ კასპში სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურა არ არის და რომ კასპში მკურნალობის დაწყება ქვემოდან, საზოგადოებიდან უნდა მოხდეს?

პ.ს. ერთადერთი შეღავათი ის არის, რომ მთლიანი დროების თამაშიც შეგიძლია და ცალკეული ნაკუწებისაც, ოღონდ, თუ ერთი ნაკუწი აირჩიე, თუ უბედურებები, ტომები და ამქრები გამორთე, პრარაბი გამოდიხარ და არა ქალაქის მაშენებელი. თანაც, ისე არ არის, რომ ბედის ანაბარა იყო მიტოვებული.

(აკა მორჩილაძე, „ვეშაპი მადათოვ ზე“)

ირინა სარიშვილის შოკისმომგვრელი პოლიტიკური ანალიზი

რაზომ უღარაფებს თეა წულუკიანი ირაკლი აღასანიას, ვინ არიან ქართულ პოლიტიკაში ყველაზე ცნობილი ვაჭრები და რა კომპრომატები აქვს „ოცნებას“ ბურჯანაძეზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ბიძინა ივანიშვილი „ვოლკ ოდინოჩკაა“, ზურაბ ხარატიშვილმა ახალი სავაჭრო ცენტრი გახსნა და გვერდით „მოწკავწკავე ძაღლები“ დაიყენა, „ოცნება“ ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ გეგმას ამუშავებს, დავით ბაქრაძე ხელშეუხებელი მთასავით დგას და შანსი აქვს, ხელი პრეზიდენტობასაც გამოჰკრას, ირაკლი ალასანიას კი არც ძალა ეყოფა და არც გამბედაობა, კენჭი დამოუკიდებლად იყაროს“ — ეს ირინა სარიშვილის მორიგი შოკისმომგვრელი ანალიზია:

— იმაში, რომ პრეზიდენტობის მსურველი ამდენი კანდიდატი რომ გვყავს, სახელისუფლო ინტერესი აშკარაა, არადა, თითქოს პირიქით უნდა იყოს! გამორიცხულია, კანდიდატების უმეტესობას რეგისტრაციისთვის საჭირო 25 000 ხმა მოეგროვებინა, ან ძალიან უდროო დროსა და უადგილო ადგილას ხუმარა საზოგადოება გვყავს. ეჭვი არ მეპარება, ყველაფერი კარგად დაგეგმილ მიზანს ემსახურება: დავიწყოთ ივანიშვილის მიერ დასახელებული გიორგი მარგველაშვილით, რომელიც შოკისმომგვრელი კანდიდატია. პიროვნულად არ ვეხები, პირიქით, ადამიანურად მესიმპათიურება, მაგრამ ილუზიურადაც კი არ ტოვებს საპრეზიდენტო ტიპაჟის შთაბეჭდილებას. ამას ივანიშვილისა და მისი მთავრობის მხრიდან ისეთი ნაბიჯები მოჰყვა, რაც წინასაარჩევნო პერიოდში, არ იდგმევა ხოლმე: თუნდაც ის, როგორც მოექცნენ იპოთეკარებს, აღარაფერს ვამბობ საკუთარი უსუსურობის დემონსტრირებაზე გახმაურებული დაჭერა-გამოშვებების მიმართ, კოჰაბიტაციის თემა, რაც ძალიან არაპოპულარულია მოსახლეობაში და ბოლოს, „მეცხრე არხის“ დახურვა არჩევნების წინ. ივანიშვილი საკუთარ წრეშიც ცნობილია, როგორც „ვოლკ ოდინოჩკა“. ის ყველაფერს აკეთებს, რათა ნაციონალურმა მოძრაობამ კოჰაბიტაციის პოლიტიკისთვის საჭირო საფუძველი შეიქმნას ანუ, როგორც მინიმუმ, მისი კანდიდატი მეორე ადგილზე გავიდეს.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მას ხელისუფლება რეალურად ებრძვის და ეჭვი მეპარება, მისთვის მესამე ადგილიც კი ემეტებოდეს. აქ რეალურ ბრძოლაზეა ლაპარაკი და არა — ლანძღვა-გინებაზე.

— ანუ ლანძღავენ ბაქრაძეს და ებრძვიან ბურჯანაძეს?

— ასეა. რამდენ არაპოპულარულ ნაბიჯსაც ბიძინა გადადგამს, თითქოს, იმ ლიდერს უნდა მატებდეს რეიტინგს, ვინც კოჰაბიტაციის წინააღმდეგია ანუ ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ ნახეთ, რა ხდება — კანდიდატების მთელი ეს ზღვა ხმას უყოფს მარგველაშვილსა და ბურჯანაძეს. ბურჯანაძისთვის კი „ოცნება“ უამრავ მახეს ამზადებს. აი, ბაქრაძეს ხმას არავინ უყოფს, რადგან ნაციონალურ მოძრაობას კანდიდატთა ამ ჩამონათვალში ხმის გამყოფი, უბრალოდ არ ჰყავს.

— არც ზურაბ ხარატიშვილია ხმის გამყოფი, რომელიც ვანო მერაბიშვილის ახლო მეგობარია?

— აქ საუბარია პარტიის შიგნით ვაჭრობაზე, ან რაღაც პატარა შურისძიებაზე. ერთადერთი, ვისაც ამ სიტუაციაში დისონანსი შეაქვს, ზურაბ ხარატიშვილია და ის გამონაკლისია. ამიტომ ხარატიშვილის საქციელის მიმართ „ოცნებისა“ და ნაციონალების აღშფოთება გულწრფელია — არც ერთის გეგმაში ამ ნაბიჯის გადადგმა არ შედიოდა. ხარატიშვილის უკან ცნობილი ვაჭრები დგანან — პაატა დავითაია, ბაჩუკი ქარდავა, გურამ ჩახვაძე. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხარატიშვილმა ახალი სავაჭრო ცენტრი გახსნა. სხვა დატვირთვა მას, უბრალოდ, არ აქვს, ნათელია, რომ ამ გუნდს ფულის შოვნა უნდა.

— და თუ ეს ახალი „სავაჭრო სახლი“ კი არა, ახალი დავალებაა აშშ-დან და ამ ახალ ცენტრს საერთაშორისო მხარდაჭერაც აქვს?

— ეჭვი მეპარება, ხარატიშვილის ფიგურა, მით უმეტეს, ორ მოწკავწკავე ძაღლთან, დავითაია-ქარდავასთან ერთად, ისეთი მნიშვნელობის იყოს, მისი ბედი შტატებში გადაწყვეტილიყო. ის ამ მითს, იყენებს და ცდილობს, თავის ნაბიჯს მეტი მნიშვნელობა მისცეს. თუ ვინმე თუნდაც ერთ ლოგიკურ ცვლილებას მაინც დამანახებს, რაც ხარატიშვილის ამ ნაბიჯმა შეიძლება პოლიტიკაში ან საქართველოს დასავლურ ორიენტაციაში შეიტანოს, გავჩერდები.

— სხვათა შორის, ბევრი ექსპერტი და ამომრჩეველიც ფიქრობს, „ოცნებიდან“ მარგველაშვილი სწორედ ნინო ბურჯანაძის გასამარჯვებლად დასახელდაო...

— ეს ილუზიაა — გამარჯვება მხოლოდ გარეგნული ეფექტის მატარებელი მოვლენებით არ ხდება. არც ბურჯანაძის პარტიაში „ოცნების“ რამდენიმე აქტივისტის გადასვლა ნიშნავს იმას, რომ ბურჯანაძეს ხმის მიმცემთა რაოდენობა მოემატება. თავიდან ერთ-ერთ ვარიანტად მეც დავუშვი, რომ თუ ბურჯანაძე-ივანიშვილი გარიგებულები არიან, მაშინ მარგველაშვილის კანდიდატურა საუკეთესოა. ამ ზღვა კანდიდატებში, რაც უნდა წვრილფეხობად ჩავთვალოთ, ხმები ბურჯანაძესაც ჩამოაკლდება.

— რა მახეს უგებს „ოცნება“ ბურჯანაძეს?

— ერთ-ერთი უმსხვილესი ზურაბ ჟვანიას მკვლელობის თემა. ნინო ბურჯანაძეს ამ თემაზე ძალიან არაპოპულარული პოზიცია აქვს და დღემდე ნაციონალების ხელისუფლების მოსაზრებას იზიარებს. ფაქტია, ბოლო პერიოდში გოგა ხაინდრავას გააქტიურებაც კონკრეტულად, ბურჯანაძის წინააღმდეგაა მიმართული, თან „ოცნების“ სახელით. ხაინდრავა ძალიან ბევრ გვარს ასახელებს, ვინც ჟვანიას მკვლელობაზე პასუხისმგებელია, მათ შორის, ბურჯანაძესაც, მაგრამ ამ გრძელ სიაში დავით ბაქრაძის ადგილი ვერ მოიძებნა. ასე რომ, ეს თამაში ჩემთვის ზედაპირზე დევს! ეს ბურჯანაძის სუსტი ადგილია. მას აქვს მეორე ძლიერ მხარე, რომელსაც უკვე კობა დავითაშვილი ასუსტებს. საქმე ეხება კოჰაბიტაციის დაგმობას, რასაც დავითაშვილი ბევრად ხალხურად და ხულიგნურად აკეთებს — სადაც საჭიროა, იქ მუშტსაც მოიქნევს და ამის ფონზე, ბურჯანაძის აკადემიური სტილი ნაკლებად ჭრის. მესამე კი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების თემაა, რისი შემასუსტებელიც, ვთქვათ, კანდიდატი ავთანდილ მარგიანი, სხვა წვრილფეხობა და თავად გიორგი მარგველაშვილია. გასაგებია, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე სამი მსხვილი კანდიდატი გვყავს — ნინო, დათო და გიორგი, მაგრამ აბა, ნახეთ — რეალურად, ვერც ერთი გაფორმებული კანდიდატი ხმებს ბაქრაძეს ვერ ართმევს. მარგველაშვილის მდგომარეობა კი ბევრად მყარი იქნებოდა, რომ არა ივანიშვილის განცხადება, პოლიტიკიდან მივდივარო, თან რაც უნდა საოცარი წარმოსადგენი იყოს, ამ ვითარებაში ბაქრაძე მთასავით დგას — არანაირი წინასაარჩევნო რყევა არ შეხებია!

— ივანიშვილის გამოჩენის პირველ ხანებში იმასაც ამბობდნენ, „ბურჯანაძე პლუსი“ ნაციონალების გეგმააო, ანუ ნაციონალები ბურჯანაძეს შეუწყობდნენ ხელს გაპრეზიდენტებაში. ეს ხმა თავად ნაციონალებიდან გამოდიოდა.

— კი, ეს აზრიც იყო, მაგრამ ნაციონალებს ეს ხელს არ აძლევს, რადგან ბურჯანაძე თავის ძირითად კოზირს არც ერთ შემთხვევაში არ დათმობს — ეს არის შეურიგებლობა წინა ხელისუფლებასთან, რაც ნაციონალებს არაფერში სჭირდებათ. ყველაფერი ნაციონალურ-რესპუბლიკური ერთობისკენ მიდის, რასაც ამდენი ხანია ვამბობ. ძალიან დიდი ალბათობით, პირველ ადგილზე უნდა გავიდეს მარგველაშვილი და მასთან ძალიან ახლოს ბაქრაძე — არ გამოვრიცხოთ პირიქითაც — პირველ ადგილზე გავა ბაქრაძე და ამით ივანიშვილი დაადასტურებს თავის „დემოკრატიულ“ ბუნებას. გაბრაზებული ხალხი კი ბიძინას ვერაფერსაც ვერ უზამს, რადგან ბიძინა ხომ მიდის?! და ეჭვი არავის შეეპაროს, რომ ბიძინა მართლა წავა. არც იმაში შეეპაროს ეჭვი ვინმეს, რომ ეს პარლამენტი, თუნდაც რეფერენდუმის დონეზე, ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების პერსპექტივას დაუშვებს!

— მოვლენების განვითარების კიდევ ერთი ვარიანტი ალასანიას ოპოზიციაში გადასვლაა — თუ ეს ნაბიჯი გადადგა და საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი დამოუკიდებლად იყარა, რა შანსები აქვს კოალიციის ერთადერთ ყველაზე პოპულარულ ლიდერს?

— ალასანიას არაჩვეულებრივი საშუალება ჰქონდა, როცა უცხოეთიდან ჩამოვიდა — რა ბურჯანაძე, რის ოპოზიცია, კაცს ხელში ყველა კარტი ჰქონდა, მაგრამ თავისი პიროვნული თვისებებიდან და ბევრი სხვა ფაქტორიდან გამომდინარე, ეს შანსი ხელიდან გაუშვა. მეორე შანსიც გაუჩნდა, როცა ივანიშვილმა მის გარემომცველ არაპოპულარულ ლიდერებთან შედარებით, გუნდში ყველაზე მიმზიდველი ალასანია წაიყვანა, თუმცა როცა თავდაცვის მინისტრის პოსტი შესთავაზეს, უკვე ყველაფერი გასაგები გახდა. რაოდენობრივად, ალასანიას ხალხი პარლამენტში ძალიან ცოტაა, არც სერიოზული თანამდებობები მიუღიათ, თუ არ ჩავთვლით თეა წულუკიანს, მაგრამ წულუკიანი ალასანიას არ გაჰყვება! წულუკიანის რეაქცია გავიხსენოთ ალასანია-ივანიშვილის კონფლიქტისას — ცალსახად, ივანიშვილის მხარეს დადგა. თან ალასანია მინისტრია და დეპუტატისგან განსხვავებით, მისი მოხსნა ერთ საათში იოლად შეიძლება. ამიტომ თავიდან ალასანიამ ცოტა ხმა ამოიღო და მერე გაჩუმდა — ყველაფერი კარგად დათვალა და მიხვდა, რომ ასე უნდა მოიქცეს. მან მშვენივრად იცის და ვეთანხმები, რომ ეს ნაბიჯი მისთვის არანაირი დადებითი შედეგების მომტანი არ იქნება. ცოტნე დადიანის ტიპაჟი კი ალასანია ისედაც არ არის! ივანიშვილის გარემოცვიდან ეს ნაბიჯი დღეს ვინც უნდა გადადგას, შანსი და მხარდაჭერა არ ექნება და ასეც რომ მოხდეს, ეს პრობლემას შეუქმნის ისევ „ოცნების“ კანდიდატსა და ნინო ბურჯანაძეს — უპრობლემოდ რჩება ისევ ბაქრაძე!

— არჩევნები გაყალბდება თუ არა?

— რა თქმა უნდა, არჩევნები გაყალბდება. არჩევნების გაყალბება არ ნიშნავს მხოლოდ ხმების არასწორად დათვლას — მუდმივად ვხედავთ, როგორ ყალბდება საარჩევნო გარემო. როცა მიზნად ისახავ, წინა და დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური თანაცხოვრება გააფორმო და ხალხი ამას მიაჩვიო, ესაა სწორედ გაყალბება.

შსს-მ ქუთაისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული პაპუნა შ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 24 აგვისტოს, გვიან ღამით, ქუთაისში, წმინდა სამების სახელობის სასაფლაოზე ურთიერთშელაპარაკებისას ბრალდებულმა „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერადი გასროლით, მუცლისა და ბარძაყის არეში სხეულის დაზიანებები მიაყენა 1991 წელს დაბადებულ ლუკა კუბლაშვილს. ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, დაჭრილი ახალგაზრდა კი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 108-ე მუხლით).

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე: „ბევრი მიფიქრია, ბევრი გამიკეთებია და უფრო ბევრი შეცდომა დამიშვია!“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში მისი ეპისკოპოსად კურთხევის 50 წლისთავთან დაკავშირებით იქადაგა და ღმერთს მადლობა გადაუხადა.

„დღეს, როცა შემისრულდა ეპისკოპოსად კურთხევის 50 წელი, მე შემიძლია ვთქვა, დიდება და მადლობა უფალს, დიდება უფალს, ღმერთს ყველაფრისთვის. აი, ამ წლების განმავლობაში ბევრი მიფიქრია, ბევრი გამიკეთებია და უფრო ბევრი შეცდომები დამიშვია. მე რით შემიძლია ვიამაყო, მე შემიძლია ვიამაყო, ვაღიარო ჩემი ცოდვებიც, ჩემი უძლურებაც, მაგრამ ნათქვამია, ბრძენმა ხალხმა თქვა, მე გავაკეთე ის, რაც მე შემეძლო და სხვამ გააკეთოს ჩემზე უკეთესად“, — ბრძანა უწმინდესმა.

როგორც მან აღნიშნა, ეპისკოპოსობა არის მოწამეობა და ეს 50 წელიც მოწამეობრივი იყო. **„ამიტომ ვმადლობ უფალს, რომ ამ მოწამეობრივი წლების განმავლობაში მუდამ იყო ჩვენთან და მუდამ გვეხმარებოდა ჩვენ, დიდება და მადლობა უფალს“,** — ბრძანა ილია მეორემ.

„ინტერპრესნიუსი“



უკრაინის მოქალაქეს დიდი ოდენობით „ბიომარიხუანა“ აღმოუჩინეს

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1960 წელს დაბადებული უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე ანატოლი ს. და თბილისში მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი, 1957 წელს დაბადებული ალექსანდრე კ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი, ავტომანქანის და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 122 პატარა და 1 დიდ შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება — ნედლი მცენარეული მასა ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, სულ ამოღებულია 226 გრამი ნარკოტიკული საშუალება ე.წ. ბიომარიხუანა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა აღნიშნული ნარკოტიკი სომხეთის რესპუბლიკიდან შემოიტანეს.

ნარკოლოგიური შემოწმებით ორივე ბრალდებულს „ბიომარიხუანას“ მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

The FINANCIAL: „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთიდან საქართველოში 8 მილიარდის ინვესტიცია შევა

საქართველოს სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული პირის მტკიცებით, საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთი საქართველოში 8 მილიარდის ინვესტიციას განახორციელებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს საინვესტიციო სააგენტოში აღნიშნული თანხის შესახებ არაფერი იციან. იაპონია, ნიდერლანდები და აზერბაიჯანი საქართველოში ძირითად ინვესტორებად რჩებიან, რუსეთი კი ამ სიის ბოლოშია.

2013 წლის პირველ კვარტალში, საქართველომ რუსეთისგან რეკორდულად დაბალი ინვესტიცია მიიღო — 597,600 დოლარი. შარშან ეს რიცხვი 4,990,700 დოლარი იყო, ხოლო 2011 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში რუსულმა ინვესტიციამ 5,584,000 დოლარი შეადგინა.

„რუსული ინვესტიცია აუცილებელია, — ამბობს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია, — 9 წლის განმავლობაში რუსეთს ვეუბნებოდით, რომ ისინი არ იყვნენ საქართველოს სასურველი პარტნიორები. რუსმა ინვესტორებმა იცოდნენ, რომ თუ საქართველოში პრობლემა შეექმნებოდათ, ადგილობრივი მთავრობა არ დაიცავდა მათ ინტერესებს. საქართველოში საელჩოს გახსნა და თავისუფალი სავიზო რეჟიმი რუსული ინვესტიციების სტიმულაციას შეუწყობს ხელს. ერთ დღეში ვერ წაშლი იმას, რაც რუსებს 9 წლის განმავლობაში ესმოდათ ჩვენგან.“

მილიარდერმა პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ბიზნესიმპერია რუსეთში შექმნა, თუმცა იმისთვის, რომ მთელი ყურადღება სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის დამარცხებაზე გადაეტანა, რუსეთში საკუთარი აქტივები გაყიდა. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებიდან მესამე დღეს ივანიშვილმა რუსეთს საქართველოში ინვესტირებისაკენ მოუწოდა.

ივანიშვილისვე თქმით, რუსი ბიზნესმენები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს მიმართ. ბევრი კერძო კომპანიაა დაინტერესებული საქართველოს ეკონომიკაში ფულის ჩადებით. პრემიერ-მინისტრი რუსეთის მსხვილ ბიზნესებს საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას ურჩევს.

„არ არსებობს ცუდი ინვესტორი, არსებობს ცუდი კონტრაქტი. ყველა ის რისკი, რისიც ჩვენ გვეშინია, შესაძლებელია, კარგი კონტრაქტით დარეგულირდეს“, – ამბობს გიორგი პერტაია.

პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ალექსიშვილი ამბობს, რომ ინვესტორებისთვის ინდივიდუალურ კანდიდატებს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

„სტაბილური საინვესტიციო გარემო თავის თავში გულისხმობს სტაბილურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და ფინანსურ გარემოს, რაც ინვესტორებისთვის ძირითადი ფაქტორებია. თუ საქართველო ასეთ გარემოს ვერ შექმნის, ვერც ერთი კანდიდატი ვერ უზრუნველყოფს რუსული ან უცხოური ინვესტიციების მოზიდვას“, – ამბობს ალექსიშვილი, რომელიც 2005-2007 ფინანსთა მინისტრი, ხოლო 2004-2005 წლებში ეკონომიკის მინისტრი იყო.

ალექსიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში ყველაფერი უნდა გაკეთდეს რუსი, არაბი, ებრაელი, ამერიკელი თუ ევროპელი ინვესტორების მოსაზიდად. ეს არის აუცილებელი პირობა საქართველოს განვითარებისთვის.

„კომერსანტ.ge“

ლენტეხის საკრებულოს მთავრალმა წევრებმა გამგებელი ზაზა ლიპარტელიანი კანონში არარსებული მუხლის საფუძველზე გადააყენეს

როგორ ცდილობს გოგი ლიპარტელიანი ძველი დიდების დაბრუნებას და რას ჰყვებიან ლენტეხელები „რესპუბლიკელ“ სოსო მუკბანიანის წარსულზე

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

რამდენიმე დღის წინ, ლენტეხის გამგებელი ზაზა ლიპარტელიანი გადააყენეს. პარადოქსია, მაგრამ ლენტეხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ზაზა ლიპარტელიანის იმპიჩმენტის საკითხი, რომელიც გამგებლის თანამდებობაზე რვა თვის წინ პარტია „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა, ფრაქცია რესპუბლიკელების თავმჯდომარე სოსო მუკბანიანმა დააყენა. აღსანიშნავია, რომ სოსო მუკბანიანი ოქტომბრის არჩევნებამდე გოგი ლიპარტელიანის აქტივისტთა რიგებში ირიცხებოდა და ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ, საარჩევნო აგიტაციას ეწეოდა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი ლენტეხის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება ადგილობრივმა მოსახლეობამ გააპროტესტა. ჯერ კიდევ 2012 წლის ნოემბერში ლენტეხელები ამბობდნენ, რომ სოსო მუკბანიანი რესპუბლიკურ პარტიას ამოფარებული ნაციონალია. მეტიც, 2011 წელს სოსო მუკბანიანი სანიაღვრე კოლექტორის გაწმენდის, სოფელ ჯველფის წყალსადენის რეაბილიტაციისა და საყდარ-ესიერის გზის გაფართოება-მოწყობის ტენდერებს იგებს. სხვათა შორის, „ვერსიას“ მოაწოდეს დოკუმენტი, სადაც ნათლად ჩანს, რომ 15 ოქტომბერს, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ფრაქცია რესპუბლიკელების შემადგენლობა და მის თავმჯდომარედ სოსო მუკბანიანი ისე დამტკიცდა, რომ ოქმზე სხდომის დამსწრეთა ოფიციალური ხელმოწერა არ არსებობს. სულ ცოტა ხანში კი ფრაქციის სახელწოდება „ქართული ოცნება-რესპუბლიკელებით“ შეიცვალა, თუმცა ბუნებაში არც ამის დამადასტურებელი ოქმი არსებობს.

ყველაფრის მიუხედავად, კონკურსის წესით მოსული გამგებლის გათავისუფლების საკითხის დაყენება თავიდანვე უკანონო იყო, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია „რესპუბლიკელები-ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბესო მუკბანიანმა დააყენა. თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად კი, აღნიშნული საკითხის დასმის უფლება მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს აქვს. რაც მთავარია, საკრებულომ გამგებელი უნდობლობის ბრალდებით, 40-ე მუხლის საფუძველზე გადააყენა, რომელიც თვითმმართველობის შესახებ კანონიდან დიდი ხანია ამოღებულია. ისიც საინტერესოა, რატომ შეიცვალა საკრებულოს თავმჯდომარე ვალოდია ქურასბედიანმა უეცრად პოზიცია და რა მიზეზით გამოუცხადა გამგებელ ზაზა ლიპარტელიანს უნდობლობა, როცა საკრებულოს წინა სხდომაზე მისი მუშაობით უკმაყოფილო არ იყო? — ერთ-ერთი სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში ვალოდია ქურასბედიანი გამგებლის მუშაობას დადებითად აფასებს...

კანონდარღვევა სხდომის დასრულების შემდეგაც დაფიქსირდა — ჯერ კიდევ არ არსებობს სხდომის ოქმი, რომლის საფუძველზეც ზაზა ლიპარტელიანი თანამდებობიდან გადაყენეს ანუ ოფიციალურად, იგი ჯერ კიდევ ლენტეხის გამგებელია. არადა, კანონის მიხედვით, აღნიშნული ოქმი საკითხის განხილვიდან სამი დღით ადრე უნდა შექმნილიყო.

სხდომის დაწყებამდე კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა: როგორც საკრებულოსთან მყოფი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რიგგარეშე სხდომა დილის 12 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა საკრებულოს წევრებმა 14:00-მდე გადადეს და შენობასთან ახლომდებარე დუქანში გადაინაცვლეს, საიდანაც საკრებულოში ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნდნენ. ერთი სიტყვით, როგორც „ვერსიას“ ადგილობრივებმა განუცხადეს, გამგებლის იმპიჩმენტის საკითხი საკრებულოს წევრებმა ნასვამ მდგომარეობაში დააყენეს. **სოსო მუკბანიანს** სხდომის დაწყებამდე ისიც კი უთქვამს, ამას ფხიზელი ვერ გავაკეთებ, არადა, რა ვქნა, ზაზას გადაყენებას „ზემოდან“ მავალებენო.

ჯერ კიდევ მოქმედმა გამგებელმა ზაზა ლიპარტელიანმა საკრებულოს წევრებისგან მისი იმპიჩმენტის დასაბუთება მოითხოვა, ერთი კონკრეტული ბრძანება მაინც დამისახელეთ, რომელიც უკანონოდ გამოვეციო, თუმცა გამგებლის წინააღმდეგ კონკრეტული არგუმენტი არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა.

პარალელურად, შენობაში უსაფრთხოებას სამი რაიონის პოლიცია უზრუნველყოფდა — ცაგერის, იმერეთისა და ლენტეხის პოლიციის წარმომადგენლებმა დაძაბული ვითარება არაერთხელ განმუხტეს, რადგან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გამგებლის იმპიჩმენტს აპროტესტებდნენ. საკრებულოს გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევენ არასამთავრობო და საზოგადოების სექტორის წარმომადგენლებიც. მათი განცხადებით, სამართლიანობის აღსადგენად ბოლომდე იბრძოლებენ, მანამდე კი, საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის მისაღებში ხუთი პირი შიმშილობს, გარკვეული ნაწილი კი, ბიძინა ივანიშვილს ურეკში უკვე შეხვდა და ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დეტალურად მიაწოდა.

ᲒᲝᲩᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ლენტეხის რაიონის მკვიდრი: „სოსო მუკბანიანი, რომელიც რესპუბლიკური ფრაქციის თავმჯდომარეა, საკრებულოს თავმჯდომარე ვალოდია ქურასბედიანსა და დანარჩენ წევრებთან ერთად, დუქანში ქეიფობდა და სხდომაზე მთვრალი მოვიდა. ნასვამ ადამიანებს სხდომის ჩატარების უფლებას არ ვაძლევდით, თან დაზუსტებით ვიცით, რომ ესენი ნაციონალები არიან, ზაზა ლიპარტელიანი კი „ოცნების“ წარმომადგენელია და მისი მოშორება უნდათ, რათა საპრეზიდენტო არჩევნებამდე დავით ბაქრაძეს პლაცდარმი გაუკეთონ. გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად უკიდურეს ფორმას — შიმშილობას მივმართეთ. ჩვენი მოთხოვნაა, რაიონში სამართლიანობა აღდგეს“.

ადგილობრივი მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ზაზა ლიპარტელიანის თანამდებობიდან გადაყენების უკან გოგი ლიპარტელიანი დგას, რადგან ახალი გამგებლის დანიშვნის შემდეგ ყოფილი ბიზნესმენისა და მოქმედი დეპუტატის გავლენა რაიონში დაკარგა. სანაცვლოდ, გოგი ლიპარტელიანმა რაიონის ბიუჯეტისთვის ზიანის მიყენება განიზრახა. კერძოდ, რაიონის ადგილობრივი შემოსავლები 190 ათასი იყო, საიდანაც გოგი ლიპარტელიანთან ასოცირებულ ფირმას 140 ათასი შეჰქონდა. აღნიშნული ფირმა დამფუძნებელმა ლენტეხის რაიონიდან გარდაბანში გადაიტანა, რითიც უკვე გაწერილმა ბიუჯეტმა შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი დაკარგა. აღნიშნულ ქმედებაში გამგებელმა ზაზა ლიპარტელიანმა დეპუტატ გოგი ლიპარტელიანი პირდაპირ ამხილა. ითქვა ისიც, რომ გოგი ლიპარტელიანი, ზაზა ლიპარტელიანის გადაყენების სანაცვლოდ, სოსო მუკბანიანს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობას დაპირდა. პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ უახლოეს დღეებში კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, დავით საგანელიძესთან ერთად, ლენტეხში ასვლას აპირებს, სადაც მათი მასპინძელი დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი იქნება.

რატომ საუბრობდა სოსო მუკბანიანი კოალიციის მხრიდან ზეწოლაზე და ვის აწყობს ლენტეხის რაიონში გოგი ლიპარტელიანის გავლენის გაზრდა, ამასთან, ხდება თუ არა დაპირისპირების ინსპირირება საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე — „ვერსია“ ამ კითხვებზე პასუხის მიღებას კოალიციის ლიდერებისგან ცდილობდა, თუმცა დავით საგანელიძეს ტელეფონი გამორთული ჰქონდა, არმაზ ახვლედიანმა ბოდიში მოგვიხადა, ამ საკითხზე არაფერი ვიციო. პასუხი არც მალხაზ მჭედლიშვილმა გაგვცა, რომელიც კანცელარიაში რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელია.

„ვერსიის“ ინფორმაციით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად ზაზა ლიპატელიანის მოადგილე კი არა, ვინმე ზურაბ ონიანი განიხილება, რომელსაც ადგილობრივები საპარლამენტო არჩევნებამდე პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებდნენ. „ქართული ოცნების“ წევრები დანებებას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ 26 აგვისტოს საკრებულოში არავის შეუშვებენ, რათა საკრებულოს წევრებს ზაზა ლიპარტელიანის გათავისუფლების შესახებ არარსებული ოქმის გაყალბების საშუალება არ მისცენ.

როგორ მართავს სპეცსამსახური ეკლესიას



მამა თეოდორე გიგნაძე: „70 წლის განმავლობაში, კაგებე-ს ჩარევის გარეშე მღვდელი ვერ გახდებოდი... ის მღვდლები ხომ არსად წასულან?!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ისინი ითხოვდნენ ჩვენების მიცემას... ისინი ითხოვდნენ ჩემგან არარსებული ფაქტების დადასტურებას, რომ ცრუ ჩვენება მიმეცა ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ. პირდაპირ, მუქარით მითხრეს, რომ თუ არ მოხერხდებოდა იმ ფაქტების დადასტურება, რაც მათ აწყობდათ, მოხდებოდა ციხის ყოფილი თანამშრომლის, 7 პირის, მათ შორის ჩემი დაკავება“, — ეს სიტყვები ყოფილ მღვდელს, ნიკოლოზ ტაბაღუას ეკუთვნის. ტაბაღუას ე.წ. ვიდეოინტერვიუ ექსმინისტრ ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა გაავრცელეს, რის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ ტაბაღუა, რომელიც თავის დროზე, სასჯელაღსრულების ნომერმეათე დაწესებულების დირექტორი იყო და ბევრი ახალაიას მეგობრადაც მიიჩნევს, მოძღვრად 6 თვეში აკურთხეს. ახლა კი, „მოძღვრისთვის შეუფერებელი საქციელის გამო“, ეკლესიამ უფლებამოსილება დროებით შეუჩერა, თუმცა საკითხავია, როგორ გახდა მამაო?! რა გზას გადის ადამიანი საერო ცხოვრებიდან მოძღვრობამდე და არის თუ არა ანაფორა სისხლის სამართლის პასუხისგებისგან თავდაცვა? — „ვერსიის“ შეკითხვებს ჯვართამაღლების ტაძრის მოძღვარი, მამა თეოდორე (გიგნაძე) პასუხობს.

— საზოგადოება სასულიერო პირს გამადიდებელი შუშით უყურებს და ამას თავისი მინუსებიც აქვს და პლუსებიც — ხანდახან შეიძლება, ადამიანური სისუსტეც არ გაპატიონ. ერთხელ, ერთი მღვდელი ნაყინს ჭამდა და ქალი ეცა, მღვდელი რომ ხარ, ნაყინს როგორ ჭამო. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი შენგან ზნეობრივ სრულყოფილებას მოითხოვს... რთული თემაა, რა გზა უნდა გაიაროს ადამიანმა, რომ მოძღვარი გახდეს. თუ აქცენტს განათლებაზე გავაკეთებთ, მაშინ ჩნდება კითხვა — რამდენი განათლებული ნაძირალა არსებობს?! თუ ბარიკადებს ვგულისხმობთ, მაშინ ბარიკადების გადალახვაც ბევრ ნაძირალას შეუძლია. არსებობს მღვდლადკურთხევის კომისიაც. როცა ეკლესია ახალმოსულ ადამიანს ხელს დროზე ადრე ასხამს და მღვდლად აკურთხებს, ეს ადამიანი გაამაყდება, გაყოყოჩდება და შენც მისი ცოდვების მოზიარე იქნები. როგორც წესი, ადამიანი ჯერ მორჩილი ხდება, მერე დიაკვანი და ბოლოს მოძღვარი. დიაკვნადაც არ უნდა გახადო უღირსი, მაგრამ მღვდლობამდე ისიც შეიძლება, დიაკვნობაში დიდხანს ამყოფო. პავლე მოციქული იმასაც გვასწავლის, რომ ადამიანს ყოფით ცხოვრებაში უმწიკვლო რეპუტაცია უნდა ჰქონდეს. სასუფეველში პირველი ავაზაკი შევიდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს ავაზაკი რომ გადარჩენილიყო და მეორე დღესვე ღვთის სიტყვის ქადაგება დაეწყო, ვინ დაუჯერებდა?! როცა ხალხმა შენი შავ-ბნელი საქმეების შესახებ იცის, ძნელია, დაგიჯეროს. შესაბამისად, როცა შენ ციხის უფროსი ხარ და პატიმრები, მკვლელები, ადამიანის მწამებლები თავისუფლად შედი-გადიან ციხიდან, უნდა თქვა, აღარ მინდა ციხის უფროსობაო. მღვდლობისთვის არც მხოლოდ კარგი რეპუტაციაა საკმარისი და ეს არც იმას ნიშნავს, რომ კარგი ქრისტიანი და სულიერად განკურნებული ხარ. მღვდელს თუ თავისი დაცემული ბუნება დამარცხებული არ აქვს, მისი დამარცხება დაწყებული მაინც უნდა ჰქონდეს. მკურნალო, განიკურნე თავი შენი, — ამბობს ქრისტე წმინდა წერილში და მე თუ ჩემი თავის კურნება არ ვიცი, სხვა როგორ უნდა განვურნო, როცა მოძღვარი ვარ?!

— ვინ ადგენს, დაწყებულია თუ არა კურნების პროცესი და ვინ არის დამნაშავე, როცა ადამიანი უღირსია, მაგრამ მღვდლად აკურთხეს ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე — საკმარისია თუ არა 6 თვე, რათა პიროვნება მოძღვარი გახდეს?

— არა, არა! 6 თვე არაა საკმარისი. ეკლესიის ისტორიაში არის განსაკუთრებული შემთხვევები, მაგრამ, როგორც წესი, რომელ 6 თვეზეა საუბარი — თუ ეკლესიური ცხოვრება სწორად მიდის, 5 წელი მაინც უნდა გავიდეს რომ ვთქვათ — ამ ადამიანმა ქრისტიანობის ანბანი დაიწყოო.

— ანუ ამ შემთხვევაში, ვისი ბრალეულობა უნდა ვეძებოთ?

— აქ ერთი ნიუანსია: ვთქვათ, ვნახეთ ერთი ეპისკოპოსი, რომელმაც ამ მღვდელს ხელი დაასხა, მერე, ვნახავთ სხვა მღვდელს, ვისაც სხვა ეპისკოპოსმა დაასხა ხელი და აღმოჩნდება, რომ ეს ვინმეს ბრალი კი არა, ზოგადი პრობლემაა! არსებობს სემინარია, აკადემია, სადაც მართლა ცდილობენ, ღირსეული სასულიერო პირები აღზარდონ, არის მონასტრები, სადაც ღმერთთან ურთიერთობის სწავლას ცდილობენ, მაგრამ ფაქტი სახეზეა — ამ მცდელობის მიუხედავად, საქმე მთლად კარგად ვერ არის. მღვდლად კურთხევის რეკომენდაცია 4 ადამიანისთვის მიმიცია, ახლა ოთხივე სასულიერო პირია — 2 დიაკონი და 2 მღვდელი. ისინი კარგები არიან და არავის აბრკოლებენ, პირიქით, ხალხი ეკლესიაში მოჰყავთ, მაგრამ იყო ჩემს ცხოვრებაში 2 შემთხვევა, როცა ჩემი გამოუცდელობით, ისეთ ადამიანებს მივეცი რეკომენდაცია, ღმერთი რომ არ ჩარეულიყო და ორივე არ დაებრკოლებინა, ახლა სინანულში ვიქნებოდი.

— ნიკოლოზ ტაბაღუას შემთხვევაში საქმე მხოლოდ ერთ ეპისკოპოსთან არ გვაქვს, ისმის კითხვა — ექსმინისტრ ახალაიას მეგობარი მღვდლად იმიტომ ხომ არ აკურთხეს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ანაფორის საშუალებით გაქცეოდა?

— შეიძლება, ათასი ვარაუდი გამოითქვას, მაგრამ როცა დანამდვილებით არ იცი, რა მოხდა, შეფასება ძნელია. შესაძლოა, მამა ნიკოლოზ ტაბაღუას ცოდვები, რომელთაც მიაწერენ, ჩადენილი არც ჰქონდეს. შეიძლება, კაცმა, უბრალოდ, მღვდლობა მოინდომა. როცა ციხეში დავდიოდი, იმხანად ამ ციხის დირექტორი იყო და ვიცი, რომ იქ სანდრო გირგვლიანის მკვლელები ისხდნენ, მაგრამ როგორც უნდოდათ, ისე მიდი-მოდიოდნენ, თუმცა პატიმრები დირექტორზე მეუბნებოდნენ, კარგი კაცია, მედავითნეობაშიც გვეხმარებაო.

ეს კაცი მორწმუნეა, მაგრამ სადისტები თავიანთ გემოზე რომ დადიან, ამაზე, მინიმუმ, მორალური პასუხისმგებლობა ხომ უნდა ეგრძნო? მეეჭვება, მორწმუნე კაცს ყველაფერი ეს მოსწონებოდა, მაგრამ თუ არ მოსწონდა, რატომ ეგუებოდა?! გასაგებია, რომ ვერაფერს ცვლიდა, ამიტომ თანამდებობიდან უნდა წასულიყო! აქ უკვე იდეის გამო ამქვეყნიური კეთილდღეობის დათმობაზეა საუბარი. გირგვლიანი რომ მისი ბიძაშვილი ყოფილიყო ან ირინე ენუქიძე მისი და, მაშინაც ასე მოიქცეოდა?! ვფიქრობ, აქ პოლიტიკური სარჩულია, მორალური ვალდებულება თუ რამე სხვა, მისი ხელდასხმა მაინც ნაჩქარევად მოხდა.

— და ვინ არის ამაში დამნაშავე?

— მთელი ეკლესია, უფრო სწორად, ეკლესიის ღვთიური კი არა, ადამიანური ნაწილი. ეს ჩემი ბრალიცაა, რატომაც არა — მეც ხომ ვიცოდი, რომ, როცა დამნაშავეები ციხიდან გამოდიოდნენ, ეს ამბავი ამ კაცის დირექტორობის დროს ხდებოდა? როცა გავიგე, რომ მღვდელი გახდა, ერთი ამბავი უნდა ამეტეხა, ეს რატომ მოხდა-მეთქი!

— რატომ არ ატეხეთ?

— მეც ამას ვამბობ, ჩემი ბრალია ყველაფერი! ამას სრულიად სერიოზულად ვამბობ. ხშირად ისეთი დამოკიდებულება გვაქვს, თითქოს, რაღაც არ გვეხება, სინამდვილეში, ყველაფერი გვეხება, რადგან ეკლესია ერთი მთლიანი ორგანიზმია. ერთი ექიმი რომ აშავებს, ამის გამო მეორეს ხომ არ მიუვარდები? ექიმებს, პედაგოგებსა და სხვებს ხომ ასე აფასებენ — თუ ერთი არ ვარგა, მეორე გამოჩნდება კარგი, მაგრამ თუ ერთი მღვდელი არ ვარგა, ე.ი. ყველა ცუდია! ამით ხალხი გვეუბნება, რომ ჩვენ ერთი მთლიანი ორგანიზმი ვართ. ამიტომ როცა ნეკა თითი მიჩირქდება, კეთილი უნდა ვინებო და მოვირჩინო, რათა მთელი ორგანიზმი არ დამიავადდეს! ამ შემთხვევაში, ხალხი მართალია — ეს ერის ხმაა და თუ ერთი მღვდელი რაღაცას აშავებს, ჩემი დანაშაულიცაა!

— რა ხდება მაშინ, როცა ერთმანეთს საერო და სასულიერო კანონები ეჯახება: მოძღვარი ყვება, როგორ აშიმშილეს პროკურორებმა და ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა აიძულეს, ან შეიძლება თუ არა დაკითხვისას აღსარების საიდუმლოს გაცემა?

— აღსარების საიდუმლოს გაცემის უფლება არავის აქვს, მაგრამ ეს წესი, როგორც სხვა ყველა, უნივერსალური ვერ იქნება. მქონია შემთხვევა, როცა მღვდელს დაუჟინებია, აღსარების საიდუმლოს ვერ გავთქვამო და უდანაშაულო ადამიანი მრავალი წელი იჯდა ციხეში — ეს კიდევ უფრო მძიმე ცოდვაა. მესმის მღვდლის შიშიც, ამიტომ ყველა ასეთი შემთხვევა ეპისკოპოსთან უნდა შეთანხმდეს. ყველა წესზე მაღლა ცოცხალი ღმერთია, რომელიც ჩვენგან ცოცხალ ურთიერთობებს მოითხოვს. რაც შეეხება მამა ნიკოლოზ ტაბაღუას ფრაზებს, არ წამიკითხავს — ახალაია დამნაშავე არაფერშიაო, ამბობს? თუ პროკურორებმა 12 საათი აშიმშილეს, ძალიან ცუდია, მაგრამ ეტყობა, მამაოს დაავიწყდა, სულ ცოტა ხნის წინ როგორ კითხავდნენ ადამიანებს, რა დღეში ჰყავდათ პატიმრებს ფაშისტური მეთოდებით და ამასთან შედარებით, შიმშილის შიში ცოტა ციინიკურია. არ ვიცნობ ახალაიას, მაგრამ ბევრი რამ პატიმრებისა და ციხის თანამშრომლებისგან ვიცი.

ისე, დიდმარხვაში, როცა მსახურებები ერთმანეთს ებმება, ხანდახან მამაოებს შიმშილი ისედაც გვიწევს და ეს 12 საათზე მეტხანსაც გრძელდება. უფალმა მომიტევოს, მამა ნიკოლოზის განკითხვა არ მინდა, უბრალოდ, პრობლემას ვაზოგადებ — თითოეული ჩვენგანის უღირსი საქციელი, მიმიკა, ძვირადღირებული მანქანით სიარული, გარეგნული ფორმაც კი მთელს, ეკლესიას ეხება და საერთო პრობლემა და დანაშაული ხდება!

— ბოლო დროს ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა, მაგალითად, ზესტაფონის მრევლი მეუფეს განუდგა, რომელიც ეკლესიის ქონების მითვისებასა და მრუშობაშია ეჭვმიტანილი, სამ მამაოს კი ჯვარი აყარეს... მამაოების შეცდომების რიცხვმა იმატა თუ ეს ფაქტები მხოლოდ ახლა ხმაურდება?

— ასეთი შემთხვევები ახლა მართლა მომრავლდა. ნახეთ, რა მოხდა: 70 წლის განმავლობაში ჩვენი მოძღვრობის სკოლას წყვეტა ჰქონდა. კომუნისტურ პერიოდში, კაგებე-ს ჩარევის გარეშე მღვდელი ვერ გახდებოდი, სასულიერო სემინარიაშიც კი ვერ ჩააბარებდი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მაშინ კარგი მღვდელი არ იყო. ამავე დროს, ბევრი ისეთი კაცი ხდებოდა მოძღვარი, ვინც ამ საქმისთვის არ იყო დაბადებული. აი, ის მღვდლები ხომ არსად წასულან? ისევ აქ არიან. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, ხალხში, უცებ, სულიერი ცხოვრების საოცარი სურვილი გაჩნდა. საჭირო იყო კადრების მოძიება, მღვდლები კი, უბრალოდ, არ იყვნენ და მასობრივი ხელდასხმა მოკლე დროში დაიწყო. ესეც გასაგებია, თუმცა ჩემთვის მიუღებელი. დღეს ეს უკონტროლო ხელდასხმები რაღა საჭიროა?! ეს უკონტროლოდ აღარ უნდა ხდებოდეს. ახლახან მამაოებს ჯვრები რომ ახსნეს, როგორ ვიცი, მათგან ზოგიერთი სულ ახალი ხელდასხმულია. თან ეს ის შემთხვევებია, როცა ამბავი „სკდება“ და წარმოიდგინეთ, რამდენი ასეთი შემთხვევის შესახებ არ ვიცით?

— სამწუხაროდ, როცა არჩევნები მოდის, სხვადასხვა პოლიტიკური ძალა ეკლესიას მანიპულაციისთვის იყენებს. ისიც სამწუხაროა, რომ გვყავს ამა თუ იმ პოლიტიკოსზე თავგადაკლული მამაოები. საპრეზიდენტო არჩევნებზეც იგივე მდგომარეობა იქნება?

— ალბათ, ეს თემა ისევ აქტუალური გახდება. თუ სასულიერო პირისთვის მთავარი ქრისტეს ძიება არ არის, მაშინ ის ჩვეულებრივი ადამიანია, ჩვეულებრივი მიწიერი მიზნებით. რაკი იგი საზოგადოების ზედა ფენაში იმყოფება თავისი მდგომარეობის გამო, ბუნებრივად, პოლიტიკოსების ზედა ეშელონებთანაც აქვს კავშირი. ვიდრე სასულიერო პირებისთვის ქრისტე რეალურად მთავარი არ იქნება, მანამ ეს და სხვა მრავალი პრობლემა იდგება ჩვენს წინაშე და ხალხს დააბრკოლებს. გამოსავალი მაინც ჩვენს თავშია — ყველამ ჩვენს თავს უნდა მივხედოთ!

ვერსიანიუსი

„სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს იქნება“

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, **„სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს იქნება“.**

როგორც თიბილოვმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, **„სამხრეთ ოსეთი რუსეთთან დაახლოების კურსს გააგრძელებს“.**

„ის კურსი, რომელიც სამხრეთ ოსეთმა და რუსეთმა აირჩიეს, გაგრძელდება. რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება სამუდამოა“, — აღნიშნა თიბილოვმა. ამასთან, თიბილოვის თქმით, „საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთში შეჭრა სხვა არაფერი იყო თუ არა გენოციდი და საქართველოს მიერ ამ ფაქტის არაღიარების გარეშე, რესპუბლიკებს შორის არანაირი ურთიერთობები არ იქნება“.

გარდა ამისა, თიბილოვმა აღნიშნა, რომ „საქართველოს როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი ხელისუფლება არ აპირებს, სამხრეთ ოსეთიდან დევნილების სამშობლოში დაბრუნების საკითხი გადაწყვიტოს“.

„ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, 100 ათასზე მეტი ოსი იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო და ბუნებრივია, ახლა მათ საქართველოში არავინ ელოდება. მათი დაბრუნებისთვის გარკვეული პირობებია საჭირო, რომელიც მათთვის საქართველოში არ იქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართული მხარის დევნილების საკითხის გადაწყვეტას. საქართველოს ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ დევნილები მხოლოდ ქართველი ეროვნების პირები არიან. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ქართველი ეროვნების დევნილები არ არსებობენ და ეს პრობლემა მხოლოდ ოსებს ეხება. დევნილები სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ, ამისთვის კი შესაბამისი პირობების შექმნაა საჭირო. ამჟამად ჩვენ რუს კოლეგებთან ერთად, დევნილების დაბრუნებისთვის შესაბამის პროგრამაზე ვმუშაობთ“, — განაცხადა თიბილოვმა.

„პირველი“

გაკოტრდება თუ არა „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ და რა ელის კომპანიაში დაზღვეულებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“, კომპანიაში აღმოჩენილი ფინანსური დარღვევების გამო, ორი თვით დროებითი მმართველი დაუნიშნეს, მაგრამ მიუხედავად ამის, სადაზღვევო კომპანია მუშაობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს და დაზღვეულებს პრობლემები არ შეექმნებათ. საერთოდ, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს ის 7 სადაზღვევო კომპანია უნდა შეემოწმებინა, რომელიც სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობს, მაგრამ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ შექმნილი პრობლემების გამო, სხვა სადაზღვევო კომპანიების შემოწმება დროებით გადაიდო.

დიდი აურზაური სადაზღვევო ბაზარზე

რატომ შეექმნა პრობლემები „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა სადაზღვევო კომპანიების შემოწმება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „ავერსის“ დამფუძნებლის, პაატა კურტანიძის სადაზღვევო კომპანია „ალფამ“ გამოაცხადა, სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა ჩემთვის ზარალიანიაო და პროგრამა დატოვა. ზედამხედველობის სამსახურმა შემოწმების კრიტერიუმები დაამტკიცა: მონიტორინგი სახელმწიფო სადაზღვევო პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებს ჩაუტარდებოდა და არა კომპანიებს. ზედამხედველობის სამსახური კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ საბოლოო დასკვნას უწყებათაშორის კომისიას გადაუგზავნის, რათა ზარალის დამტკიცების შემთხვევაში, კომისიამ პრობლემა მთავრობასთან ერთად აღმოფხვრას.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა, 19-დან 23 აგვისტოს ჩათვლით, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ შემოწმება დაიწყო. მოკლე დროშივე აღმოჩნდა, რომ კომპანიას ფინანსური პრობლემები აქვს, რასაც მანამდე, 6 თვის ანგარიშში ასახული დარღვევებიც დაერთო და დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელმა „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“, ორთვიანი ვადით, დროებითი მმართველი დაუნიშნა, რომელმაც კომპანიაში ფინანსური პრობლემები უნდა აღმოფხვრას, მაგრამ თუ ამ პრობლემის გამოსწორებას ვერ შეძლებს, მაშინ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ გაკოტრება-ლიკვიდაციის პროცესი დაიწყება.

სადაზღვევო ბაზარზე, „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ 2007 წელს გამოჩნდა და მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევის სეგმენტში საქმიანობს, 2010 წლიდან კი სახელმწიფო პროგრამებშიც ჩაერთო. „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ რეგიონებში რამდენიმე კლინიკის გახსნის ვალდებულება აქვს აღებული, თბილისში კი ნულიდან 5 წლამდე ბავშვების, სტუდენტების, პენსიონერებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაზღვევას უზრუნველყოფს.

როგორც ექსპერტები ამბობენ, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ფინანსური პრობლემები იმიტომ შეექმნა, რომ სადაზღვევო კომპანიები სახელმწიფომ ძალით „შეათრია“ ჰოსპიტალურ სექტორში. ამის გამო, ორიოდე წლის წინ, პრობლემა „იმედი ელსაც“ შეექმნა, კომპანიამ ვალდებულების შესრულება ვერ შეძლო და შედეგად, „ალდაგი ბი სი აი“-მ „იმედი ელის“ აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა. არადა, თითქოს ჩაკეტილი და მოჯადოებული წრეა, რადგან ერთი მხრივ, ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია და გაჭირვებულ ადამიანებს სამედიცინო მომსახურება სჭირდებათ, რაც საკმაოდ ძვირია. ესაა მიზეზი, რის გამოც სახელმწიფო მათ დაზღვევაში „ერევა“, მაგრამ მეორე მხრივ, სადაზღვევო ბაზრის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, სახელმწიფოს ჩარევა გაუმართლებელია.

ექსპერტების თქმითვე, საგანგაშო სულაც არაა, თუ სახელმწიფოს სურვილი აქვს, სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას, ასევე, მოხუცებსა და ბავშვებს სადაზღვევო სერვისი შესთავაზოს. სახელმწიფოს მხრიდან ამ კატეგორიის მოსახლეობას დაზღვევა ორი მიზეზითაა გამართლებული: პირველი — სახელმწიფომ ფული უნდა დახარჯოს იმ ადამიანებზე, რომლებსაც სამედიცინო სერვისის მიღება არ შეუძლიათ და მეორე — სახელმწიფო დაზღვევის მიმართულებით იმიტომ ეხმარება მოსახლეობის ნაწილს, რომ სხვებმა, რომლებსაც სოციალური პრობლემა არ აქვთ, თვითონ დახარჯონ ფული და კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაეზღვიონ.

რას ამოწმებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური

რა ხდება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე? რომელ სადაზღვევო კომპანიებს ამოწმებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური? რა შეიძლება მოჰყევს „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ შექმნილ ფინანსურ პრობლემებს და რა ელის ამ კომპანიაში დაზღვეულებს? „ვერსია“ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, ლაშა ნიკოლაძეს ესაუბრა.

— ამ მოვლენებში ერთმა სამწუხარო ფაქტმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა: როცა 6 თვის შედეგები ჩავიბარეთ, აღმოჩნდა, რომ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ მნიშვნელოვანი ფინანსური პარამეტრები იყო დარღვეული და ამიტომ კომპანიაში იძულებითი ადმინისტრაციით შევედით. ის 7 კომპანია უნდა შეგვემოწმებინა, რომელიც სახელმწიფოს ეგიდით, სოციალური ტიპის დაზღვევებს ახორციელებს. „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ იძულებითი ადმინისტრაციით შევედით და ვცდილობთ, ფინანსური სიტუაცია მისივე მენეჯმენტისა და ინვესტორების დახმარებით გამოვასწოროთ. ახლა მხოლოდ ამაზე ვართ კონცენტრირებულნი და ესაა მიზეზი, რის გამოც დანარჩენ კომპანიებში შემოწმება ჯერ არ დაგვიწყია. ორშაბათს ან სამშაბათს მივიღებთ გადაწყვეტილებას სამოქმედო გეგმაზე და ამის შემდეგ დეტალურად გვეცოდინება, როდის დავიწყებთ სხვა კომპანიების შემოწმებას.

— იმ ფაქტებით, რაც უკვე არსებობს და თუნდაც 6 თვის მონაცემებით, რა ვითარებაა სადაზღვევო ბაზარზე, რატომ ვერ მიიღეს სრულყოფილი მონაწილეობა კომპანიებმა სახელმწიფო პროგრამებში?

— სამწუხაროდ, ამ პრობლემას იმდენი ხანი არ ვსწავლობთ, რომ დასკვნა გავაკეთოთ. 19-დან 23 აგვისტომდე, როდესაც მხოლოდ ერთ კომპანიაში ვართ შესულები, ცხადია, ზოგად სურათს ვერ დავინახავდით, მაგრამ პრობლემის მიხედვით ჩანს, რომ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები აქვს, დანარჩენ კომპანიებს — უმნიშვნელო, მაგრამ გარკვეული ხარვეზები აქვთ, რაც საგანგაშო არაა. ზოგ კომპანიას პრობლემა საერთოდ არ აქვს, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ამას მხოლოდ კომპანიების მიერ ჩვენს სამსახურში ჩაბარებული, სპეციალური ფორმების შესწავლის მიხედვით გეუბნებით. რეალური სურათისთვის მხოლოდ შევსებული ფორმა არაა საკმარისი, ამისთვის კომპანიების შემოწმებაა საჭირო. ძირითადი პრობლემა სოციალური პროგრამის განხორციელებაში იკვეთება, აქ არის დაგროვილი ვალების და მთის კლინიკების მომსახურების თემა, რაც დაზღვევის რეგულაციას არ უკავშირდება და უფრო ჯანდაცვის სერვისების განხორციელების პრობლემაა, რადგან სადაზღვევო კომპანიებს 51 კლინიკა აქვთ. გარდა ამისა, პრობლემაა სოფლის ექიმისა და სასწრაფოების დაფინანსების მხრივ, რაც ასევე, სცილდება რეგულატორის უფლებამოსილებას. „ალფამ“ უკვე დატოვა სახელმწიფო პროგრამა, რადგან კომპანიის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ეს პროექტი ზარალიანი იყო. „ალფას“ გარდა, სახელმწიფო პროგრამა არც ერთ სადაზღვევო კომპანიას არ დაუტოვებია და ჩვეულებრივად აგრძელებენ მონაწილეობას. ვიმეორებ, რეგულაციის თვალსაზრისით, ნაკლები პრობლემები ჩანს, მაგრამ სერვისების მიღების, კლინიკებისა და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების კუთხით, პრობლემები არის, რაც ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

— როგორ ფიქრობთ, სადაზღვევო ბაზარზე ვითარება იმის შემდეგ ხომ არ აირია, რაც „ალფამ“ სახელმწიფო პროგრამა დატოვა?

— არავითარ შემთხვევაში, რადგან ვითარება არ არეულა. სახელმწიფომ სამედიცინო სერვისების განხორციელება მათთვის დაიწყო, ვისაც დაზღვევა არ ჰქონდა, კერძო კომპანიებში დაზღვეულები კი სერვისების მიღებას ჩვეულებრივად აგრძელებენ. „ალფას“ გასვლა არეულობას ვერ გამოიწვევდა, რადგან ამ ორ პროექტს — კერძო და სახელმწიფო დაზღვევას ერთმანეთთან შეხება არ აქვს. ერთი, კონკრეტული ადამიანი, ან კერძო სადაზღვევო კომპანიაშია დაზღვეული, ან სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობს. თეორიულად, შეიძლება ვთქვათ, რომ ტენდერები ან თუნდაც სახელმწიფო პროგრამები იყო თუ არა ზარალიანი სადაზღვევო კომპანიებისთვის. „ალფამ“ თვითონვე განაცხადა, რომ ზარალიანი იყო და გავიდა, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ფინანსური პარამეტრები აქვს დარღვეული და, გადაუმოწმებელი ინფორმაციით, შესაძლოა, ეს პროგრამა მისთვისაც ზარალიანი ყოფილიყო, მაგრამ ეს დაზუსტებით არ ვიცით. სხვა კომპანიებისთვის, თუ მცირე ფინანსურ ხარვეზებს არ ჩავთვლით, როგორც ჩანს, სახელმწიფო პროგრამები ზარალიანი არ არის. დეტალურ ინფორმაციას კი სხვა სადაზღვევო კომპანიების შემოწმების შემდეგ მოგაწვდით.

— პენსიონერებისა და ბავშვების დიდი ნაწილი „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაშია“ დაზღვეული, არადა, კომპანიაში დროებითი ადმინისტრაციაა შესული, ეს დაზღვეულებს პრობლემას ხომ არ შეუქმნის?

— არა, რადგან დროებითი ადმინისტრაციის ფუნქცია მაქსიმალური კონცენტრირებით, გარკვეული ხარჯების ეკონომიაა, რათა ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდეს მუშაობა. უმოკლეს დროში უნდა გამოსწორდეს ფინანსური მდგომარეობა, რომ ადმინისტრატორი გამოვიდეს და სადაზღვევო კომპანიამ მუშაობა განაგრძოს. ეყოფა თუ არა მხოლოდ ადმინისტრატორის რესურსი და დასჭირდება თუ არა ინვესტიცია გარედან, ამას უახლოეს პერიოდში ვნახავთ. „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ ჩვეულებრივად მუშაობს, უბრალოდ, მის მართვას დანიშნული ადმინისტრატორი ახორციელებს. ეს არ არის კომპანიის გაკოტრების ფორმა, ჩვენ იძულებითი, დროებითი ადმინისტრატორის ფუნქციით შევედით, რაც ორ თეორიულ გამოსავალს გულისხმობს — კომპანია ან გამოჯანსაღდება, ან არა. თუ ვერ გამოჯანსაღდება, მხოლოდ მაშინ შეიძლება კომპანიის გაკოტრება-ლიკვიდაცია, მაგრამ თუ გამოსწორდება, დროებითი ადმინისტრაცია შეწყდება და მუშაობას ძველი მენეჯმენტი გააგრძელებს.

— ბოლო მონაცემებით, რომელიმე სადაზღვევო კომპანია ხომ არ გაიყიდა, ან ხომ არ გაერთიანდა?

— სადაზღვევო ბაზარზე ცვლილებები არ არის, ყოველ შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახურს ამ ტიპის ინფორმაცია აუცილებლად ექნებოდა. არ ვიცი, რომელი კომპანია რას აპირებს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამას მხოლოდ ჩვენს სამსახურში, ოფიციალური განაცხადის შემოტანის შემდეგ გავიგებთ. თუ რომელიმე სადაზღვევო კომპანიის გაყიდვა, ან თუნდაც სხვა კომპანიასთან შერწყმა იგეგმება, მფლობელები დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს მიმართავენ, რადგან ჩვენს გარეშე, ასეთ გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს.

ვერსიანიუსი

„მე-9 არხი“ აღარ გაიყიდება

ტელეკომპანია „მე-9 არხი“ აღარ გაიყიდება. მის ბაზაზე არსებული ტექნიკური აღჭურვილობა პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის შვილის, ბერა ივანიშვილის კუთვნილ ტელეკომპანია GDS-ს გადაეცა, რომელიც სექტემბრიდან განახლებული ფორმატით გავა ეთერში. ტექნიკის გადატანა უკვე დაიწყო და ამ დრომდე გრძელდება.

„მე-9 არხმა“ მაუწყებლობა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, რამდენიმე დღის წინ შეწყვიტა. ტელეკომპანიის დახურვის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა თანამშრომლების გადაწყვეტილება მაუწყებლობის დროზე ადრე შეჩერების შესახებ, უარყოფითად შეაფასა. არხის გაყიდვის შესახებ, სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

რადიო „კომერსანტი“

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისში ორი საწარმო დახურა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისში ხორცისა და თევზის ორი საწარმო დახურა. სააგენტოს განმარტებით, დედაქალაქის საწარმოებში მორიგი გეგმური ინსპექტირებისას კომპანიებს, რომლებშიც არაკრიტიკული შეუსაბამობები აღმოჩნდა, მიეცათ რეკომენდაციები და ხარვეზების აღმოსაფხვრელად კონკრეტული ვადები დაწესდა. ორ კომპანიას — შპს „ბაბილონსა“ და შპს „21-ე პლიუს ერისთავს“ კი საწარმოო პროცესი შეუჩერდა და თითოეული მათგანი 1 000-1 000 ლარით დაჯარიმდა. კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე, კომპანიებს მუშაობის გაგრძელების უფლება არ აქვთ.

სურსათის ეროვნული სააგენტო გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლავაც გააგრძელებს.

რადიო „კომერსანტი“

თბილისის 17 მილიონით გაზრდილი ბიუჯეტის ჩრდილოვანი მხარეები



მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქის 2013 წლის ბიუჯეტი 17 000 000 ლარით გაიზარდა. თბილისის მერის, გიგი უგულავას ინიციატივას, ბიუჯეტის გაზრდის შესახებ, თბილისის საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს. „საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო, ყოველთვის იმ პოლიტიკის გამტარებელი იქნება, რომელიც მწვავე პრობლემებს გადაჭრის“, — ასე ახსნა უგულავას ინიციატივის მხარდაჭერა დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა.

რატომ დააკმაყოფილა „ოცნების“ საკრებულომ გიგი უგულავას მოთხოვნა და რა ღონისძიებები დაფინანსდა 2013 წლის 6 თვეში დედაქალაქის ბიუჯეტით

საკრებულოს თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის გაზრდის ინიციატივით, დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ გასულ კვირას მიმართა. უგულავას თქმით, 17 000 000 ლარი სხვადასხვა სოციალურ პროექტს, თბილისს შემოერთებული რაიონების განვითარებასა და დედაქალაქის მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი საჭიროებების მოგვარებას მოხმარდება. კულუარული ინფორმაციით, თბილისის ბიუჯეტისთვის დამატებით 17 000 000 ლარის გამოყოფა დღის წესრიგში იმიტომ დადგა, რომ თბილისის აეროპორტს, ვარდების მოედანს, ევროპის მოედანსა და რიყის პარკს სახელწოდებები ეცვლება.

მართალია, საბოლოო ვარიანტი შემუშავებული არაა, მაგრამ სავარაუდოდ, თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი, ვარდების მოედანს — მერაბ კოსტავას, ევროპის მოედანს — ასი ათასი მოწამის, ხოლო რიყის პარკს ევროპის პარკი უნდა დაერქვას. შესაბამისად, ქუჩების სახელწოდებების ცვლილებას ახალი აბრების დამზადება და დამონტაჟება უნდა მოჰყვეს, რაც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, თუმცა ამ ყველაფრისთვის 17 000 000 ლარი საკმაოდ სოლიდური თანხაა.

საინტერესოა, როგორ დაიგეგმა და რა პრიორიტეტები განისაზღვრა 2013 წლის თბილისის პროგრამული ბიუჯეტის მიხედვით? — ოფიციალურად ჯერ მხოლოდ ბიუჯეტის 6 თვის ანგარიშის დეტალური მონაცემებია გამოქვეყნებული, რომლითაც ირკვევა, რომ 2013 წელს, თბილისის ბიუჯეტით განისაზღვრა და, შესაბამისად, დაფინანსდა შემდეგი პრიორიტეტები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; განათლება; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

6 თვის მონაცემებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 232 329 4000 ლარით შესრულდა, მათ შორის, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება დაფინანსდა 28 873 600 ლარით, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები — 25 668 700 ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა — 2 468 300 ლარით. მიუხედავად იმისა, რომ როგორც სახელმწიფო, ასევე თბილისის ბიუჯეტი პროგრამულია და „სხვა ხარჯების“ ან „სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების“ მუხლები დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, ეს არც სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც „ოცნებამ“ დაგეგმა და არც თბილისის ბიუჯეტში, რომელიც ნაცმოძრაობამ შეადგინა, სამწუხაროდ, განმარტებული არაა. არადა, 6-თვიან ანგარიშში ამ მუხლებზე საკმაოდ სოლიდური თანხაა გამოყოფილი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისთვის გათვალისწინებული ხარჯებიდან საგანგებო სიტუაციები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები დაფინანსდა 7 344 000 ლარით, ეკონომიკური საქმიანობა — 29 660 800 ლარით, მათ შორის, ტრანსპორტის ხარჯები — 28 720 500 ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში – 940 300 ლარით, გარემოს დაცვა — 8 086 400 ლარით, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა — 3 086 400 ლარით, დასუფთავების ღონისძიებები, ნარჩენების შეგროვება-დამუშავება — 5 000 000 ლარით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობა დაფინანსდა 51 357 500 ლარით, მათ შორის, ბინათმშენებლობა — 4 064 300 ლარით, კომუნალური მეურნეობის განვითარება – 34 069 300 ლარით, გარე განათება – 8 358 200 ლარით, გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში – 301 500 ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში – 4 564 200 ლარით.

2013 წლის 6 თვის ანგარიშით, თბილისის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდა 12 147 700 ლარით, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება — 216 400 ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში — 11 931 300 ლარით; დასვენება და კულტურა — 9 676 900 ლარით, მათ შორის, მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში – 2 095 900 ლარით, მომსახურება კულტურის სფეროში – 3 693 600 ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების სფეროში – 3 887 500 ლარით; განათლება — 21 744 600 ლარით, მათ შორის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები – 19 393 400 ლარით, სხვა ხარჯები კი – 2 351 200 ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსდა 63 437 900 ლარით, მათ შორის, ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამები – 9 900 ლარით, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა – 30 619 400 ლარით, საცხოვრებლით უზრუნველყოფა – 842 900 ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში – 31 965 700 ლარით.

2013 წლის თბილისის ბიუჯეტის 6 თვის ანგარიშის მიხედვით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა დაფინანსებულია 28 735 300 ლარით, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა, მოვლა-შეკეთება — 19 378 300 ლარით, მათ შორის გზების მშენებლობა და აღდგენა — 17 475 600 ლარით. საანგარიშო პერიოდში, დედაქალაქის მასშტაბით, ჯამში, 195 678 086 კვადრატული მეტრი ფართობის გზის საფარი შეკეთდა. 2013 წლის თბილისის პროგრამულ ბიუჯეტში, დაახლოებით 12 გვერდზე, დეტალურადაა მითითებული ამა თუ იმ რაიონის კონკრეტული ქუჩის მონაკვეთები, რომლებიც 6 თვის განმავლობაში შეკეთდა.

ქალაქის გაფორმებითი ღონისძიებები 914 800 ლარით დაფინანსდა. პროგრამის ფარგლებში, 2013 წელის 6 თვეში, განათებითა და მინათებით, ასევე, გახმოვანებით, სცენებით, საგრიმიოროებითა და გასახდელებით შემდეგი ღონისძიებები გაიმართა: 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, სიონის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე აქცია-კონცერტი; ნინო ქათამაძის კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში; მუსიკოსისა და კომპოზიტორის არტურო სანდოვალის კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში; ზვიად ბოლქვაძის საავტორო მუსიკის საღამო საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში; კავკასიის ჩემპიონატი „ბრეიკდანსში“ პირველი არხის პავილიონში; ევროპის დღე მთაწმინდის პარკში — ჯანსუღ კახიძის სახ. სკვერში და ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში; საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის პრეზენტაცია და საზეიმო კონცერტი ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში; Tbilisi Fashion Week — თბილისის ისტორიის მუზეუმში; 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მათ შორის, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის წინ და 26-29 მაისს ჯგუფ „შინის“ კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში; მანანა თოდაძის შემოქმედების 35 წლისთავის იუბილე ფილარმინიის საკონცერტო დარბაზში; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები — ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ვაკის პარკში, მუშტაიდის პარკში, ვარდების რევოლუციის ბაღში, განახლებულ პარკში რიყეზე, გოძიაშვილის სახელობის ბაღში; თბილისის საერთაშორისო ფესტივალი — Tbilisi Open Air; „კავკაზ ჯაზ-ფესტივალი“, რომელიც Folk Garden-ის ეზოში გაიმართა; საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი — 2013“; სამამულო ომში მონაწილე ვეტერანების საიუბილეო საღამო სასტუმრო „რედისონში“; ფოტოფესტივალი „ქოლგა“ მთაწმინდის პარკში; „თემზე დაფუძნებული ბეთლემის უბნის ფესტივალი“ ბეთლემის აღმართის ღია სკვერში; „ვარდობის თვე — 2013“ თბილისის ისტორიის მუზეუმში; „საიათნოვა“ — მეიდანზე; საერთაშორისო ოლიმპიური დღის აღსანიშნავი სპორტული ღონისძიება რიყის პარკში; ილიას უნივერსიტეტის ჯაზ-მუსიკის კონცერტი ილიას სახელობის უნივერსიტეტში; ლვოვის დღეები თბილისში (რიყის პარკი); გივი ბერიკაშვილისა და კახი კავსაძის ხელის ანაბეჭდების გახსნა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში; პოეზიის საღამო (შოკოლადისა და პოეზიის ფესტივალი) ჯანსუღ კახიძის სახელობის სკვერში; მხატვარ ფარნაოზ ლაპიაშვილის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა თანამედროვე ხელოვნების გალერეაში; ქუჩის კალათბურთი სპორტის სასახლის წინ; თბილისის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდის“ კონცერტები ალექსანდროვის ბაღში, დედაენის ბაღში, ვარდების რევოლუციის ბაღში; „არლის ფოტოგრაფიის ღამე თბილისში“ თბილისის ძველ უბანში (სცენების მოწყობა, ლაითბოქსებითა და პროექციის გასაშვები ეკრანებით მომსახურება); ახალგაზრდული ღონისძიება Teddy Bear Hospital სამედიცინო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე; ზურაბ სახელაშვილის სახელობის ტურნირი წყალბურთში „ლაგუნა ვერეზე“. გარდა ამისა, პროგრამიდან გლდანის პარკში, ყინულის მოედნის ექსპლოატაცია და დემონტაჟი დაფინანსდა, ასევე სადღესასწაულო და სარიტუალო თაიგულების შესყიდვა; საახალწლო ილუმინაციებისა და აქსესუარების დემონტაჟი, ექსპლოატაცია და ელექტრომომარაგება; ბიოტუალეტებით მომსახურება; ლერი პაქსაშვილის საფლავის მოწყობა საბურთალოს პანთეონში; მოლბერტებით მომსახურება; ნაჭრის ჩანთების შეძენა; მაისურების შეძენა; ნატო-ს დროშების შეძენა; დროშების გაკიდება-მოხსნის სამუშაოები; სტადიონის მწვანე საფარის დამცავი საფარით მოწყობა; მაგიდებით მომსახურება; სიონის სკვერში სოფიკო ჭიაურელის მემორიალის აღდგენა; ქუჩის მიმართულებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი მაჩვენებლების ესკიზების დამზადება; სხვადასხვა ღონისძიებაზე რკინის დამცავი ჯებირების გაწყობა-ალაგება.

ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა 1 545 300 ლარითაა დაფინანსებული, რაც თბილისის ბიუჯეტის 6-თვიანი ანგარიშის მიხედვით, შემდეგ პროგრამებზე გადანაწილდა: ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა — 400 000 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში ორი საწარმო გაიხსნა, ერთი კი გაფართოვდა; თბილისის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგი და კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმარება — 87 100 ლარი; მოქალაქეთა გადამზადების კურსები — 624 300 ლარი.

ბიუჯეტის ანგარიშის მიხედვით, გადამზადების კურსები 6 000-მა მოქალაქემ გაიარა, მათ შორის, კომპიუტერის კურსები — 2 400-მა მოქალაქემ, ინგლისურის — 3 600-მა მოქალაქემ. პროგრამის ფარგლებში 6 000 ცალი კომპიუტერი, ინგლისურის სამივე ეტაპისათვის კი 6 000 კომპლექტი შეიძინეს, აქედან პირველი საფეხურისთვის — 3 000 კომპლექტი, მესამე საფეხურისთვის — 3 100 ცალი წიგნი, 2 300 ცალი რვეული და 600 ცალი ბიზნესინგლისურის სახელმძღვანელო.

პროგრამა „თბილისელების ადვოკატი“, ანგარიშის მიხედვით 205 000 ლარით დაფინანსდა; „თბილისელების ადვოკატის“ პროექტის ფარგლებში, „გადაუდებელი იურიდიული დახმარება თბილისელებს“, დედაქალაქის მასშტაბით 30 უფასო სამართლებრივი დახმარების ოფისი ფუნქციონირებს. სამართლებრივი დახმარების მიზნით, ამ ოფისებს 4 501-მა ფიზიკურმა პირმა მიმართა, მათ შორის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფმა 596 პირმა, 852-მა პენსიონერმა, 100-მა იძულებით ადგილნაცვალმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 31-მა პირმა.

„თბილისელების ადვოკატის“ პროექტის ფარგლებში, „იურიდიული დახმარება საგადასახადო და სამეწარმეო საკითხებზე“, სამართლებრივი დახმარების მიზნით, 309 ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა მიმართა, მათ შორის, საგადასახადო-სამეწარმეო საკითხებზე — 214-მა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა და სხვა არასაგადასახადო-არასამეწარმეო სამოქალაქო-ადმინისტრაციულ საქმეებზე — 95-მა ფიზიკურმა პირმა.

ვერსიანიუსი

რუსეთმა 19 სახეობის ქართული ღვინო დაიწუნა

რუსეთში, ქართულ ღვინოზე ემბარგოს მოხსნის შემდეგ, 2 500 000 ლიტრი ღვინო შევიდა. ამის შესახებ Интерфакс-ს როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელმა, რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ განუცხადა:

„რუსეთის ტერიტორიაზე, საქართველოდან ალკოჰოლური პროდუქციის 690 პარტია შემოიტანეს, რომლის საერთო მოცულობა 2 500 000 ლიტრია“, — განაცხადა ონიშჩენკომ.

მისი თქმით, რუსეთის ტერიტორიაზე, პროდუქცია 12 ქართველ მწარმოებელს შეაქვს. ამჟამად რუსეთში ღვინის — 462, კონიაკის — 41 და მინერალური წყლის — 4 სახეობაა დარეგისტრერებული.

„მთელი ამ ხნის განმავლობაში, ქართული ღვინის 19 სახეობა დავიწუნეთ. 20 ნიმუში კი ამ დრომდე ექსპერტიზაზე იმყოფება“, — განაცხადა როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელმა, გენადი ონიშჩენკომ.

რადიო „კომერსანტი“

მშობლებო, თუ თქვენი შვილი სასკოლო სახელმძღვანელოს დააზიანებს, დაისჯებით!

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომელიც სახელმწიფოს მიერ მოსწავლის მშობლისთვის უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემული სკოლის სახელმძღვანელოების გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის წესს განსაზღვრავს.

მინისტრმა სახელმძღვანელოების გადაცემის წესთან ერთად, მათი მოვლის შეფასების კრიტერიუმებიც დაამტკიცა.

სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობა ფასდება 15-ქულიანი შკალით. „ნეტგაზეთის“ ინფორმაციით, სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის შეფასების კრიტერიუმები:

ა) ყდის მდგომარეობა:

ა.ა.) დაუზიანებელი — 5 ქულა;

ა.ბ.) უმნიშვნელოდ დაზიანებული — 4 ქულა;

ა.გ.) დაზიანებული, თუმცა სასწავლო პროცესში გამოყენებადი — 3 ქულა;

ა.დ.) მნიშვნელოვნად დაზიანებული, შიგთავსს დაცილებული — 1 ან 2 ქულა.

ბ) სახელმძღვანელოს სისუფთავე:

ბ.ა.) მარკირების გარეშე — 5 ქულა;

ბ.ბ) უმნიშვნელოდ მარკირებული — 4 ქულა;

ბ.გ.) მარკირებული, თუმცა სასწავლო პროცესში გამოყენებადი — 3 ქულა;

ბ.დ.) მნიშვნელოვნად მარკირებული, სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად გამოუსადეგარი — 0 ქულა.

გ) სახელმძღვანელოს გვერდების მდგომარეობა:

გ.ა.) დაუზიანებელი — 5 ქულა;

გ.ბ.) უმნიშვნელოდ დაზიანებული — 4 ქულა;

გ.გ.) დაზიანებული, მაგრამ სასწავლო პროცესში გამოყენებადი — 3 ქულა;

გ.დ.) დახეული, არ იკითხება შინაარსი და სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად გამოუსადეგარი — 0 ქულა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის ,,ბ.დ“ ქვეპუნქტითა ან/და ,,გ“ ქვეპუნქტის ,,გ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დაზიანების არსებობის შემთხვევაში, სახელმძღვანელო ფასდება 0 ქულით;

მოსწავლეს გამოსაყენებლად შეიძლება გადაეცეს არანაკლებ 9 ქულით შეფასებული სახელმძღვანელო. საჯარო სკოლები ვალდებულნი არიან, სახელმძღვანელოების მშობლებზე ან კანონიერ წარმომადგენელზე გადაცემისას დადონ მათთან ხელშეკრულება.

დამტკიცებული წესების მიხედვით, მოსწავლე ვალდებულია: ა) სახელმძღვანელოები გამოიყენოს მხოლოდ სასწავლო პროცესის მიზნებისთვის; ბ) არ გადასცეს სახელმძღვანელო მესამე პირებს; გ) უზრუნველყოს სახელმძღვანელოს მთლიანობის დაცვა; დ) გაუფრთხილდეს სახელმძღვანელოებს: არ დააზიანოს, არ ჩაკეცოს ფურცლები, არ გააკეთოს მინაწერები და სხვა.

ხოლო მოსწავლის მშობელი, ან კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მოსწავლის მიერ სახელმძღვანელოების გამოყენება მხოლოდ სასწავლო პროცესის მიზნებისათვის და სახელმძღვანელოების სათანადო მოვლა-პატრონობა; ბ) არ დაუშვას მოსწავლის, ასევე, ნებისმიერი პირის მიერ სახელმძღვანელოების გადაცემა მესამე პირებისათვის; აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს საჯარო ან კერძო სკოლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზიანებულ სახელმძღვანელოზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს; დ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისთანავე, ასევე, მოსწავლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობის განხორციელების ან მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლას დაუბრუნოს სახელმძღვანელოები ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული შკალის მიხედვით არაუმეტეს 3 ქულით გაუარესებულ მდგომარეობაში.

ზემოჩამოთვლილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ასევე სახელმძღვანელოს დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მოსწავლის მშობელი ვალდებულია, ჩაანაცვლოს სახელმძღვანელო იდენტური შინაარსის და რედაქციის სახელმძღვანელოთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა ობიექტური, განსაკუთრებული შემთხვევებისა, მას ერთმევა უფლება, მიიღოს უფასოდ სახელმძღვანელოები მომდევნო წელს.

წესრიგის დაცვა, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ზემოხსენებული ბრძანებით თუ ვიმსჯელებთ, განათლების მინისტრი ქალბატონი თამარ სანიკიძე ან ბავშვი არასოდეს ყოფილა (რაც გამორიცხულია), ან სკოლაში მეგობრები არ ჰყოლია, რომ მათთვის წიგნი ეთხოვებინა, ან ისეთი აკურატული მოსწავლე იყო, რომ დავალება წიგნში „პტიჩკით“ არ მოუნიშნავს. ამასთან, აბა, წარმოიდგინეთ, მშობელი, რომელმაც იცის, რომ დაზიანებული სახელმძღვანელოსთვის შეიძლება „გააციმბირონ“, შვილს რა დღეში ჩააგდებს, წიგნში ფურცელი რატომ ჩაკეცეო... ისე, თუკი დაზიანებული სახელმძღვანელოს მფლობელი მომდევნო წელს სასკოლო წიგნებს უფასოდ ვეღარ მიიღებს, მაშინ რატომაა ერთი ამბავი ატეხილი, ამიერიდან სკოლებში წიგნები უფასოდ იქნებაო? გინახავთ, ბავშვი, რომელსაც სახელმძღვანელოზე რამე არ „მიეჯღაბნა“? ჩვენში დარჩეს და, ქალბატონი სანიკიძის ზემოხსენებული ბრძანება აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასვლის“ იმ ეპიზოდს ჰგავს, ბავშვებს ხელებს „ლინეიკით“ რომ უტყავებდნენ...

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„თუ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, ვითარება აიჭრება!“

სოსო ცინცაძე გიორგი მარგველაშვილისა და ნინო ბურჯანაძის შანსებს აფასებს

საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია ძალას იკრებს. ძირითადი მეტოქეები რეგიონულ შეხვედრებს მართავენ და ხმაურიან განცხადებებსაც აკეთებენ. კანდიდატების სიმრავლის მიუხედავად, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ორთაბრძოლა გიორგი მარგველაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს შორის გაიმართება... მარგველაშვილი, რომელსაც პროვინციებში სოფლის მეურნეობის მინისტრი დაჰყვება, გლეხებს 27 ოქტომბრის შემდეგ უკეთეს ცხოვრებას ჰპირდება. „მართლა არ მინდა პრეზიდენტობა, თუ თქვენ არ ამირჩევთ“, — უთხრა კახელებს „ქართული ოცნების“ რჩეულმა. ნინო ბურჯანაძე კი ამომრჩეველს ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ პრობლემებზე, მათ შორის, საგარეოზე, ესაუბრება: „მიმაჩნია, რომ პუტინთან ჩემი ურთიერთობის გამოცდილება საქართველოს პრეზიდენტის რანგში, ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ჩემი ქვეყნისთვის ძალიან ბევრი რამის გაკეთებაში დამეხმარება“. ნაციონალების კანდიდატი დავით ბაქრაძე, როგორ ჩანს, უშანსობას გრძნობს და ამომრჩევლებთან შეხვედრებს წარსულ შეცდომებზე ყურადღების გასამახვილებლად და დაგვიანებული ბოდიშის მოსახდელად იყენებს. „ხალხსანი“ კობა დავითაშვილის „მარად ახალი“ ლოზუნგია: „სააკაშვილსა და მის რეჟიმს რა... ნულოვანი ტოლერანტობა რეჟიმის დამნაშავეების მიმართ!“ ქრისტიან-დემოკრატები ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ აქტიურად გამოდიან და ქვეყნის მასშტაბით ხელმოწერებსაც აგროვებენ. შალვა ნათელაშვილი ამომრჩეველს მოუწოდებს, კიდევ ერთხელ არ მოტყუვდეს და სწორი არჩევანი გააკეთოს... ცხელ წინასაარჩევნო პერიპეტიებსა და მოსალოდნელ შედეგებზე „ვერსია“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.

— ბატონო სოსო, თქვენი შეფასებით, მთავარმა კანდიდატებმა წინასაარჩევნო კამპანია როგორ დაიწყეს?

— ჩემთვის ძირითადი მეტოქეები ბურჯანაძე და მარგველაშვილი არიან. პირველივე შეხვედრებზე ბურჯანაძე ცდილობს, ელექტორატის ყურადღება ისეთ მწვავე საკითხებზე გაამახვილოს, როგორიცაა რეგიონებისთვის საგარეო ბაზრის პრობლემა, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება, ევროპული ფასეულობები და ღირებულებები, უმუშევრობა. როდესაც ბურჯანაძე შეხვედრებს დიდ ქალაქებში დაიწყებს, არსებული რეალობიდან გამომდინარე, წინა პლანზე, ალბათ, სხვა საკითხები წამოიწევს.

რაც შეეხება მარგველაშვილს, ჩემი აზრით, იგი გაურბის სადღეისოდ მწვავე პრობლემებს. ეტყობა, სათქმელიც არაფერი აქვს, ამიტომ ზოგად ფილოსოფიურ-ლირიკულ-რომანტიკული მოწოდებებით იფარგლება. ამას წინათ ვუსმენდი, თქვენ იბრძოლეთ ჩემთვის და მე თქვენთვის ვიბრძოლებ, წინ მომავალი გველოდებაო.

ერთი უცნაური პასაჟი: არ ვიცი, გიორგის წამოსცდა თუ ამ განცხადების უკან ის ცვლილებები იმალება, რაც უკვე დაგეგმილია ახალი ხელისუფლების მიერ, მაგრამ კახეთში შეხვედრისას ასეთი საინტერესო ფრაზა თქვა, 27 ოქტომბრის მერე ყველაფერი შეიცვლება და სულ სხვა ქვეყანა გვექნებაო. როგორი იქნება ეს სხვა საქართველო? დღევანდელი ცუდია და ოქტომბრიდან უკეთესი იქნება? ამ საარჩევნო დღეს საკრალური მნიშვნელობა რატომ მიანიჭა? ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტს გულით რომ უნდოდეს და გენიოსების მიერ დაწერილი მზა პროგრამაც ჰქონდეს, მისი განხორციელებისთვის ბერკეტები არ აქვს. პრეზიდენტს სულ სხვა რეალობა და დატვირთვა ექნება. ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება, საზღვრის ერთიანობა, არაფორმალური უზენაესი არბიტრის ფუნქციის შესრულება — ასეთი შეიძლება იყოს პრეზიდენტი, ისიც პირადი თვისებებიდან გამომდინარე.

ისტორიაში ბევრი შემთხვევაა, როდესაც პიროვნებას კონსტიტუცია, კანონი, დაწერილი წესები უფლებას არ აძლევს, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები და აკეთოს თუნდაც კარგი საქმე, მაგრამ პირადი ავტორიტეტი, პოლიტიკური გამოცდილება და თვისებები ძალიან ფართო ასპარეზს უქმნის. მე-19 საუკუნე ინგლისის ისტორიაში შევიდა, როგორც ვიქტორიანული ხანა დედოფალ ვიქტორიას სახელით. ინგლისის დედოფალსა და მონარქს მე-19 საუკუნეში დიდი უფლებები აღარ ჰქონდა, მაგრამ ვიქტორია ამას თავისი პირადი თვისებებით ახერხებდა. ერთი თვის წინ, ბელგიის ხელმწიფე ლეოპოლდ მეორე გადადგა, რომელსაც მთელი ბელგია მისტირის და იქაური პრესა წერს, ეს კაცი ჯერ არ წასულა და უკვე რაღაც უსიამოვნო მოვლენებია ქვეყნის მთლიანობასთან დაკავშირებითო.

მოკლედ, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნო პროგრამა ყურადღებით წავიკითხო; სტრიქონებს შორის რა ეწერება, მინიშნებები რაზე იქნება. როგორც ჩვენს „მეგობარ“ პუტინს უყვარს თქმა, ბუზები და კატლეტი ცალ-ცალკე რომ გამოვყო.

— ამ ფაქტორების გათვალისწინებით, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ შეცდომა ხომ არ დაუშვა, როცა ირაკლი ალასანია არ დაასახელა პრეზიდენტობის კანდიდატად?

— არა. ეს სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. ერთმა უცხოურმა მედიასაშუალებამ ზუსტად დაწერა, როდესაც ივანიშვილმა ის ვიცე-პრემიერობიდან გადააყენა, ალასანიას მოექცა, როგორც თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგესო.

ალასანია პრემიერის პოლიტიკური მოწინააღმდეგეა თავისი ფასეულობებით და ღირებულებებით. ის საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრინციპული მომხრეა. კოალიციაში ვისაც ჭკუა მოეკითხება, რესპუბლიკელები და თავად ივანიშვილიც კატეგორიული წინააღმდეგია საპრეზიდენტო რესპუბლიკის, ამიტომ ალასანია და ივანიშვილი პოლიტიკურად შეუთავსებელნი არიან. ერთად იბრძოლეს სააკაშვილის წინააღმდეგ, მაგრამ როცა ბრძოლის მიზანი იცვლება, მთავარი შემდეგი ცხოვრების აწყობა ხდება და ამ პოლიტიკური რაკურსის განსაზღვრაში ისინი უკვე მოწინააღმდეგეები არიან.

შეიძლება შეცდომა იყო, როცა ივანიშვილმა ვახტანგ ხმალაძეზე არ შეაჩერა არჩევანი — ხმალაძე პოლიტიკაში გაცილებით გამოცდილი და დაღვინებულია. აღარ არის ისეთი ენთუზიაზმით გამსჭვალული, როგორიც დღეს მარგველაშვილია. მას რომ ვუყურებ, აღტაცებულია თავისი პერსპექტივით — წარმოუდგენია, რა ელის პრეზიდენტის სავარძელში, ამ შარავანდედს გრძნობს საკუთარ თავზე, ამ ტერმინის დიდებით ცხოვრობს. ცუდი ისაა, რომ ვერ ვხედავ, გათვითცნობიერებული ჰქონდეს ის ტვირთი, რომელიც მხრებზე უნდა აიკიდოს ოქტომბრის შემდეგ, როგორც ქვეყნის ერთიანობის არბიტრმა და გარანტმა.

— სასტარტო პოზიციებიდან გამომდინარე, მარგველაშვილ-ბურჯანაძის ორთაბრძოლაზე რა პროგნოზს გააკეთებთ?

— სამართლიანი არჩევნები ეჭვის ქვეშ დგება თუნდაც იმის გამო, რომ ადმინისტრაციული რესურსია ჩართული — როდესაც სოფლის მეურნეობის მინისტრი მთავრობის კანდიდატს გლეხებთან შეხვედრაზე დაჰყვება, ეს უკვე რესურსია. არასწორია იმის თქმა, რომ მინისტრი ახლა შვებულებაშია და ხელფასს არ იღებს. ჯერ ერთი, ეს ტყუილია, შვებულებაში გასული ყველა ჩინოვნიკი ანაზღაურებას იღებს, უბრალოდ, მას შვებულების ფული ჰქვია და არა — ხელფასი. ახლა, იმერლიშვილის ქალბატონი გამოდის და აცხადებს, თუ საკუთარი მანქანით და ბენზინით არიან, ყველას შეუძლია, კამპანიაში ჩაერთოსო, მაგრამ ეს კანონებიც ხომ იმიტომ დაწერეს, რომ თავის დროზე, ჯერ სააკაშვილის დროს და მერე, ამ ხელისუფლების მმართველობისას აწყობდათ? ამიტომ სასტარტო პოზიცია უკვე უსამართლოა. თუ ეს გასწორდა და 27 ოქტომბრამდე სამართლიანად მივედით, არ მგონია, მარგველაშვილი 27-ში ტრიუმფატორი იყოს. ყოველ შემთხვევაში, მეორე ტური, მგონი, გარანტირებული აქვს. მერე უკვე ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეიცვლება. ნუთუ, არაფრისმთქმელია დღევანდელი მმართველი პარტიისთვის ის ტენდენცია, რომ მმართველი პარტიის აქტივისტები სხვაგან გადადიან? აქტივისტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე — პარტიის წევრი წინასაარჩევნო კამპანიისთვის. სამართლიანობის ვექტორი თუ გასწორდა, მაშინ მეორე ტური მარგველაშვილს გარანტირებული აქვს. ამის შემდეგ კი, ვითარება ისე აიჭრება, დედა შვილს ხელში აღარ აიყვანს და მარგველაშვილის შანსი, ცოტა არ იყოს, გაფერმკრთალდება.

რა ხდება ხუთშაბათობით თბილისის საკრებულოს მისაღებში

ეკრუსუდან შელია
557-100-768

ირაკლი შიხიაშვილი: „ყველა ადამიანის პრობლემას მოვისმენ!“

ხუთშაბათობით, თბილისის საკრებულოში განსაკუთრებული ხალხმრავლობაა — მას შემდეგ, რაც საკრებულოს ახლადარჩეულმა თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა მოქალაქეების მიღება გამოაცხადა, თბილისელები მასთან შეხვედრას დილიდან ელოდებიან.

22 აგვისტოს, ხუთშაბათს, მისაღებთა სიაში ჩაწერილ 64 ადამიანს მეც მივემატე. როგორც ჟურნალისტს, ნება დამრთეს, ირაკლი შიხიაშვილს საღამოს ცხრა საათისთვის შევხვედროდი... საათს დავხედე — ჯერ დილის 11 საათია. დრო საკმარისზე მეტი მაქვს... ჰოდა, გადავწყვიტე, საკრებულოს თავმჯდომარესთან შეხვედრამდე, საკრებულოს მისაღებში მოქალაქეებს გავსაუბრებოდი.

განრიგის მიხედვით, ირაკლი შიხიაშვილს პირველი მოქალაქე დილის 11-ის ნახევარზე უნდა მიეღო, თუმცა შეხვედრაზე საათნახევარი დააგვიანა და საკრებულოში მხოლოდ 12 საათზე გამოჩნდა.

— ვისი საკრებულოა ეს, თაღლითების? — უკმაყოფილებას ვერ მალავდა შუახნის ქალბატონი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის გამოჩენას მოუთმენლად ელოდა და ფოიეში ბოლთას სცემდა, თან დაცვის სამსახურის უფროსს ეჩხუბებოდა,

— სახეზე გცნობ, ვინც ხარ, 2003 წელს ნაციონალებთან დარბოდიო. მერე კი, როცა ლიფტისკენ სწრაფი ნაბიჯებით მიმავალი ირაკლი შიხიაშვილი შენიშნა, მკვახედ მიაძახა:

— ჰკითხეთ ვინმემ ამ კაცს, ნაციონალებიდან წამოსვლის შემდეგ, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში განწმენდის პროცედურები ხომ არ ჩაიტარა?

— ნაციონალებზე უარესი მდგომარეობაა, არ იგრძნობა, რომ რამე უკეთესობისკენ შეიცვალა, — წამოიძახა საშვთა ბიუროსთან მდგომმა ქალბატონმა, რომელსაც ფოიეში, საგანგებოდ დადგმულ ძველ მაგიდასთან მსხდომმა საკრებულოს თანამშრომლებმა უთხრეს, დღეს თავმჯდომარესთან ვერ აგიშვებთ, 30 აგვისტოს მოდით და ჩაეწერეთო. ქალბატონს მივუახლოვდი, ვინაობა ვკითხე.

— მანანა როსტევანიშვილი ვარ, წლების განმავლობაში, 170-ე ბაღში მასწავლებლად ვმუშაობდი, თუმცა ორი წლის წინ, ბაღის გამგემ სამსახურიდან გამიშვა, გადასახადის გადაუხდელობის გამო ბავშვებს ვყრით და შენი ჯგუფი იხურებაო. დიახ, გიგი უგულავამ, უფულობის გამო, ბაღებიდან ბავშვები გაყარა, რაც ძალიან დიდი ცოდვაა და წინ აუცილებლად დახვდება.

— საკრებულოს თავმჯდომარესთან რა საკითხზე გსურთ შეხვედრა?

— ირაკლი შიხიაშვილთან სამსახურში აღდგენაზე მოვედი, მაგრამ მითხრეს, სიაში 30 აგვისტოს ჩაეწერე და სექტემბერში შეხვდებიო. საკრებულოში სხვა არავინაა, რომ შევხვდე, როგორც მითხრეს, შვებულებაში არიან, არადა ჩემი საქმე სასწრაფო გადაჭრას ითხოვს. 30 აგვისტომდე ბაღებში ჯგუფები შეივსება. იცით, ბაღებში რა მოხდა? — მას შემდეგ, რაც სწავლა უფასო გახდა, ძალიან ბევრმა მშობელმა მიიყვანა შვილი, მაგრამ გამგეებმა უთხრეს, ადგილები შევსებულია და ვერ მიგიღებთო. ბაღებში ყველა ადგილი ოც წუთში შეივსო, რაც შეუძლებელი იყო, უბრალოდ, ნაციონალები სპეციალურად ქმნიან პრობლემას. თუ ვინმეს არ სჯერა, რომ სიმართლეს ვამბობ, მონიტორინგის ჯგუფები შექმნან და ერთად შევამოწმოთ ხელოვნურად შევსებული ცარიელი ბაღები.

— რისი შემმოწმებლები არიან, ჩვენი პრობლემის შესასწავლად განცხადებას განცხადებაზე ვწერთ და ყურადღებას არავინ გვაქცევს, — გამოგვეხმაურა რიგში მდგომი იზა ბენდელიანი.

— თქვენც ბაღებში არსებულ პრობლემაზე ხართ მოსული?

— არა... ძმებ ზუბალაშვილების 44-ში, ისტორიულ ეზოში ვცხოვრობ. ჩვენ გვერდით მუსიკალური ათწლედი იყო, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 5 ოქტომბერს სასწრაფოდ გაიყიდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, შენობას სეუ-ს რექტორი გია კავთელიშვილი დაეპატრონა, რომელმაც ეზოს დანგრევა და შენობების დემონტაჟი უმოწყალოდ დაიწყო. ათწლედის შენობასთან საერთო კედელი გვქონდა, ამიტომ ჩვენი სახლებიც ინგრევა, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. დასახმარებლად თბილისის მერიას მივმართეთ, თუმცა პასუხი ვერ მივიღეთ. ამის შემდეგ კულტურის სამინისტროში მივედით, რადგან როგორც ისტორიული სტატუსის მქონე შენობა, მის ბალანსზე ვირიცხებით. კულტურის მინისტრის მოადგილემ, მარინა მიზანდარმა არაფრად ჩაგვაგდო და აგდებულად გვკითხა, ჩვენ რა ვქნათო?! ხმას არავინ იღებს. როგორც კი იგებენ, რომ უკანონო დემონტაჟს ვინმე გია კავთელიშვილი ახორციელებს, ყველა ჩუმდება. არადა, დემონტაჟი თუ არ შეჩერდა, ჩვენი სახლი ბოლომდე დაინგრევა. საკრებულოში ჯაბა სამუშიას შევხვდი, მაგრამ უშედეგოდ. ახლა ირაკლი შიხიაშვილთან შესახვედრად ვარ მოსული, მაგრამ რა? — იმედი აღარ მაქვს, რომ ვინმე მოგვხედავს. ჩვენ მაჟორიტარ დეპუტატზე საუბარიც ზედმეტია, მთაწმინდას ასეთი დეპუტატი არასოდეს ჰყოლია. მეზობლები შევიკრიბეთ და ქუთაისში ჩავედით, რათა დეპუტატისთვის დახმარება გვეთხოვა. მან კი შეხვედრაზე უარი გვითხრა და ტუტუცი და უგნური იურისტი გამოგვიგზავნა. ისე ნუ იზამენ, რომ მთაწმინდელებმა აჩიკო გეგენავას ნაკვალევის ძებნა დაიწყოთ. სხვათა შორის, მთაწმინდელებმა ზაზა პაპუაშვილის პარლამენტიდან გამოწვევის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება უკვე დავიწყეთ...

— დამალაპარაკეთ ვინმე, ხალხი არ ხართ? — ქალბატონ იზასთან საუბრისას ტირილნარევი ყვირილი შემომესმა. ჭაღარა ქალბატონი მაგიდასთან მსხდომ საკრებულოს თანამშრომლებს ეკამათებოდა. მივუახლოვდი და როცა ცოტა დაწყნარდა, პრობლემის შესახებ ვკითხე.

— ლიანა ბარათაშვილი ვარ, ნაძალადევის რაიონში, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ, სადაც რამდენიმე კვირაა, შუქი არ გვაქვს. „თელასი“ მრიცხველებისთვის განკუთვნილი თანხის, 210 ლარის წინასწარ ჩარიცხვას გვთხოვს, რაც ჩვენთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა და მის გადანაწილებას ვითხოვთ. ენერგეტიკის სამინისტროში განცხადება დავწერეთ, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია. შემდეგ ნაძალადევის მაჟორიტარ დეპუტატთან, თამარ კორძაიასთან ვცადე შეხვედრა. ივლისის შუა რიცხვებში მივედი, მაგრამ მითხრეს, ოქტომბრამდე ვერ მიგიღებთო. რა დამოკიდებულებაა ეს? თამარ კორძაიასთან შეხვედრას ჩვენი მეზობელი სამი კვირის განმავლობაში ცდილობდა, არავინ არაფრად ჩააგდო, პასუხიც არავინ გასცა, არადა სერიოზული პრობლემა ჰქონდა და დეპუტატისგან სასწრაფო დახმარება სჭირდებოდა. ბოლოს ვენები გადაიჭრა და... ამ ამბავს ოჯახის წევრები არ ახმაურებენ, ამიტომ მეტს ვერაფერს გეტყვით ან ვის რაში აინტერესებს ჩვენი ამბავი — ღატაკებს ხომ ადამიანად არავინ მიგვიჩნევს?

— მე, საერთოდ, რაღა მეთქმის, 80 წლის ქალი, სოციალურად დაუცველი, აფხაზეთში ნაომარ ქმართან ერთად, მიწურში ვცხოვრობ და სიცივეში გაყინვის მეშინია. გაზიც კი არ შემომიყვანეს. ირაკლი შიხიაშვილთან ერთხელ უკვე ვიყავი მიღებაზე, ჩემი პრობლემის შესახებ მოვუყევი, განცხადება და საჭირო საბუთები დავუტოვე, შემპირდა, კომისია შეისწავლისო. დღეს კი მოვედი, მაგრამ კანცელარიაში მეუბნებიან, რომ ჩემი განცხადების განხილვა ჯერ არც კი დაწყებულა...

საკრებულოს თავმჯდომარესთან შეხვედრაზე მყოფი მოქალაქეები კაბინეტიდან კმაყოფილი სახით გამოდიოდნენ.

— ირაკლი შიხიაშვილი დახმარებას შეგპირდათ? — ვეკითხები ერთ-ერთ მოქალაქეს.

— დიახ, უსახლკარო ვარ, მითხრა, ვიზრუნებ, რომ ბინა ქალაქგარეთ მიიღო, ოღონდ საკრებულოში რამდენიმე კვირაში დარეკეო, — მიპასუხა და გზა კმაყოფილმა განაგრძო.

ირაკლი შიხიაშვილმა ბოლო მოქალაქე 11 საათზე მიიღო და ქალბატონი, რომელსაც სახლი ქმარმა იპოთეკით დაუტვირთა და შემდეგ მევახშემ წაართვა, თავის მეგობარ ადვოკატთან დაუკავშირა. საკრებულოს თავმჯდომარესთან ინტერვიუც ამის შემდეგ ჩავწერე:

— მიღებაზე საათნახევარი რატომ დააგვიანეთ?

— შაქრიანი დიაბეტი მაქვს, ამიტომ დილით ექიმთან უნდა მივსულიყავი. ვფიქრობ, საპატიო მიზეზი მაქვს. 11 საათზე დავიწყებ შეხვედრებს თუ 12-ზე მნიშვნელობა არ აქვს, დღეს ყველა ადამიანის პრობლემა მოვისმინე.

— პრობლემებს ფოიეში მეც ვისმენდი, თუმცა ის უფრო მნიშვნელოვანია, რა კონკრეტული შედეგით უშვებთ ამ ადამიანებს კაბინეტიდან...

— რა თქმა უნდა, შედეგი საკმაოდ დიდი გვაქვს. თბილისში ძალიან ბევრი უსახლკაროა, ბევრიც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ზოგი ქირით გაგვყავს, ზოგსაც ერთჯერად დახმარებას ვაძლევთ, თუმცა ბუნებრივია, მუდმივად ასე ვერ იქნება. მათ დასახმარებლად სხვა ფორმა უნდა მოვძებნოთ, რაც მხოლოდ დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ვერ გადაწყდება. ზოგადად, საკრებულოში ზღვა ინფორმაცია შემოვიდა, რადგან ადრე ადამიანებს საკრებულოში არავინ ხვდებოდა და ეს უწყება აბსოლუტურად უფუნქციო იყო.

— თქვენთან შესახვედრად მოსული მოქალაქეების უმრავლესობას არც ახლა აქვს განცდა, რომ საკრებულოში ვითარება უკეთესობისკენაა შეცვლილი.

— ყველას აქვს უფლება, საკუთარი აზრი გამოთქვას. ჯადოსნური ჯოხი არ მაქვს, ყველა პრობლემა ერთდროულად გადავჭრა. ხუთშაბათობით მოქალაქეების მიღება იმ მიზეზით გადავწყვიტე, რომ ინფორმაცია პირველი პირისგან მივიღო, რადგან ფურცელზე დაწერილ განცხადებაში პრობლემის სიმწვავეს სრულად ვერ აღიქვამ. ამის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარეები მოქალაქეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ამუშავებენ. ჩემი მდგომარეობა, დაახლოებით, იმ პერიოდს ჰგავს, როცა ადამიანს შესცივდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოაფიქრა ცეცხლის დანთება. მას შემდეგ, რაც თბილისში არსებულ ძირითად პრობლემას გავეცანი, გაჩნდა იდეა, რომ დედაქალაქი გაჭირვებულებით კი არ უნდა გაივსოს, მოქალაქეებს ქალაქგარეთ, საკუთარი შრომით ცხოვრების შესაძლებლობა მივცეთ. სხვათა შორის, ქალაქგარეთ გასვლაზე ბევრი თანახმაა.

— საკრებულოს ამ ადამიანების დაფინანსების საშუალება აქვს?

— არა, ეს საკრებულოს მოსაზრებაა. მომავალში კი ეკონომიკის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან შეჯერებულად ვიმოქმედებთ. ეს მხოლოდ შინ, მეგობრების წრეში ნაფიქრი მოსაზრებებია.

— როდემდე დარჩება პროექტი მხოლოდ მოსაზრებად?

— ჯერჯერობით, ამ მიმართულებით მუშაობა არ დაგვიწყია. ახლა ვცდილობთ, არსებული რესურსი „ხანძრის კერების“ ჩასაქრობად მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რათა ადამიანებს თავის გატანის საშუალება მივცეთ. ამასთან, მძიმე ავარიული სახლების გამაგრებაზეც დავიწყეთ მუშაობა, რადგან თუ ამ პროცესს არ დავიწყებთ, თბილისში დამატებით 80 ათას უსახლკაროს მივიღებთ.

— ეს პროექტი დამტკიცებულია და თუ ესეც იდეის დონეზეა?

— სახლების პასპორტიზაცია უკვე დავიწყეთ და ახლა ვითვლით, რა თანხა დაჯდება თითოეული სახლის შეკეთება. გამაგრებითი სამუშაოების დაწყებას სხვა სიკეთეც მოსდევს, კერძოდ, ადამიანებს დასაქმების საშუალება მიეცემათ. რაც მთავარია, მშენებლებს სტაბილურობის განცდა აქვთ და არ ეშინიათ, რომ პროკურატურაში დაიბარებენ და ციხეში ჩასმის მუქარით, თანხას უკან მიატანინებენ.

— მერიის ბიუჯეტი 19 მილიონი ლარით რატომ გაზარდეთ მაშინ, როცა ბევრი საუბრობს, რომ ეს ფული გიგი უგულავამ, შესაძლოა, პარტიული აქტივის სასარგებლოდ დახარჯოს?

— იმის გამო, რომ გიგი უგულავა არ მომწონს და მასაც არ მოვწონვარ, ჩვეულებრივი მოქალაქეები არ უნდა დაზარალდნენ. თბილისელების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა ჩემს პირად შეხედულებებზე მაღლა დგას. რაც შეეხება რისკს, ყველაფერი რეალური მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, როგორც ადრე, დღესაც საკრებულოს რეალური თავმჯდომარე გიგი უგულავა რომ იყოს — ზაალ სამადაშვილი ამ თანამდებობაზე მხოლოდ ფორმალურად ჰყავდათ. ქალაქის პოლიტიკის წამყვანი ორგანო დღეს საკრებულოა და ჩვენ მკაცრად გავაკონტროლებთ რამდენად მიზნობრივად ხარჯავს თანხებს მერია. ასე რომ, საკრებულოს მერიისთვის ფული არ მიუცია, საკრებულომ მერიას დავალების ოდენობა გაუზარდა.

ვერსიანიუსი

„ტეხპასპორტები“ ბრუნდება?

moe.gov.ge

გარემოს დაცვის სამინისტრომ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციები შეიმუშავა. არასამთავრობოები ჰაერში კანცეროგენული ნივთიერებების შემცველობის მაღალ მაჩვენებელზე საუბრობენ, რაც, მათი მტკიცებით, საწვავის გამონაბოლქვის შედეგია.

როგორც სამინისტროში, რადიო „კომერსანტს“ განუცხადეს, უწყებათაშორისმა კომისიამ ჰაერის დაცვის სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობა უკვე დაასრულა. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის განცხადებითვე, ოთხთვიანი სამუშაოების შემდეგ, რეკომენდაციები სამთავრობო უწყებებს გადაეგზავნა. მთავარი აქცენტი ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერების აღდგენის საჭიროებაზე, საწვავის ხარისხის გაუმჯობესებასა და ავტოპარკის განახლებაზე გაკეთდა. უწყებათაშორისმა კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნებიც გაითვალისწინა. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა და მწარმოებელთა კავშირის თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი კი აცხადებს, რომ საქართველოში, ევროპული სტანდარტის დანერგვა, საწვავზე ფასის ზრდას გამოიწვევს, რასაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მზად უნდა შეხვდეს. მთვრალაშვილის თქმით, უწყების მიერ მომზადებული რეკომენდაციები საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს, თუმცა საწვავის ევროპული სტანდარტების პარამეტრებთან დაახლოების მიზნით, კონსულტაციები იმპორტიორ კომპანიებთან უნდა გაიმართოს. მთვრალაშვილისვე თქმით, ევროპაში „ევრო 5“ და „ევრო 6“ ხარისხის საწვავი იყიდება, საქართველო კი „ევრო 1“-ისა და „ევრო 2“-ის სტანდარტებს შორის იმყოფება.

რადიო „კომერსანტი“

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის იმიჯი საფრთხეშია

სამხრეთის „დერეფანი“ კასპიისპირეთიდან მეტად უნდა ივსებოდეს

ზურა გამრეკელი

ევროკავშირის ინიცირებული „დერეფანი“ საქართველოზე გამავალი ნავთობისა და გაზის მილსადენების უკეთ შევსებასა და ახალი პროექტების განხორციელებას გულისხმობს, ამიტომ კონკურენტული გამოწვევები მუდამ ქვეყნის შესაბამისი უწყებების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. შარშან, ზაფხულში შემუშავებული აზერბაიჯან-თურქეთის „ტანაპის“ პროექტით, შესაძლებელია, საქართველოზე აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ტრანზიტთან ერთად, თურქმენული აირის ტრანსპორტირებაც დაიწყოს. ასევე, ჯეიჰანის მარშრუტით, ცენტრალური აზიის ქვეყნების ნავთობის მოცულობების ტრანსპორტირების გაზრდაც შეიძლება, მაგრამ კასპიის ზღვის სტატუსის გაურკვევლობა ხუთი კასპიისპირა ქვეყნისთვის ამ მხრივ დიდი საფრთხის შემცველია.

ისევ კასპიის სადავო სტატუსი

წელს, 13 აგვისტოს, „როსნეფტის“ პრეზიდენტმა იგორ სეჩინმა და „სოკარის“ პრეზიდენტმა როვნაგ აბდულაევმა ბაქოში, ორი ქვეყნის პრეზიდენტების თანდასწრებით, გააფორმეს ხელშეკრულება ნავთობის სფეროში თანამშრომლობაზე. ხელი მოეწერა „სოკარსა“ და „როსნეფტს“ შორის შეთანხმებას, პარიტეტულ საწყისებზე, ერთობლივი საწარმოს შექმნაზე, რამაც თურქმენეთის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. მანამდე, 5 ივლისს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მიიღო „როსნეფტის“ ბაქოში ვიზიტად მყოფი პრეზიდენტი იგორ სეჩინი, რომელიც ბოლო დროს უფრო მეტად ინტერესდება გაზის ბიზნესით. სეჩინის კონცერნის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ, „როსნეფტმა“ ხელში ჩაიგდო რუსეთის ერთ-ერთი დიდი კერძო გაზის კომპანია „იტერა“, რომელსაც კასპიისპირა ქვეყნებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს. სავარაუდოდ, თურქმენეთში ჩათვალეს, რომ ისევე, როგორც 1997 წლის ივლისში, ახლაც ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს აზერბაიჯან-რუსეთის შეთანხმებას ოფშორული „ქიაფაზის“ (თურქმენულად — „სერდერი“) და სხვა სადავო საბადოების ერთობლივ ათვისებაზე.

ამასთან დაკავშირებით თურქმენეთის ოფიციოზმა განაცხადა, რომ დროა, აზერბაიჯანმა და თურქმენეთმა მოილაპარაკონ კასპიის სექტორულ დაყოფაზე და დაიწყონ საბადოების დამუშავება, ან მხარეები, ცალკეული საბადოების მიხედვით, კონკრეტულ კვოტებზე შეთანხმდნენ, თუმცა ზოგ თურქმენ და აზერბაიჯანელ ექსპერტს პრობლემის გადასაჭრელად, საერთაშორისო სასამართლოს ჩარევა ურჩევნია.

აზერბაიჯანელი ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ თურქმენეთის ზემოაღნიშნული განცხადებები შემთხვევით არ „დაემთხვა“ „როსნეფტის“ პრეზიდენტის იგორ სეჩინის ბაქოში ვიზიტს და ღიად აცხადებენ, რომ თურქმენეთში საკითხს უფრო პრაგმატულად უნდა მიუდგნენ. კერძოდ, მათი აზრით, ორ ქვეყანას შორის ასტარა (აზერბაიჯანი)-ჰასან-ყული (თურქმენეთი) ხაზზე საზღვაო საზღვრის გავლება, კასპიაზე ირანის პრეტენზიებსაც „მოთოკავს“ და იგი კასპიის სტატუსზე ოთხი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მოთხოვნებს წინ ვეღარ აღუდგება. ეს კი, საბოლოო ჯამში, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ აშენებამდე მიგვიყვანს, რაც თურქმენული გაზის აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, ევროპაში გადატუმბვის საშუალებაა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის შემავსებლებს გაფრთხილება უნდა

ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ რეგიონისთვის და, კერძოდ, აზერბაიჯანისთვის, კასპიას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ესაა ევროპა-აზიის პოტენციური სავაჭრო სატრანზიტო კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური საშუალება არა მარტო გაზის, არამედ ნავთობის ახალი მარშრუტების გასაგზავნად. ამასთან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მხოლოდ აზერბაიჯანული ნავთობის მნიშვნელოვანი მარშრუტი კი არაა, ყაზახური და თურქმენული ნავთობის ალტერნატიულ, რუსეთის გვერდისამქცევ გზასაც წარმოადგენს. წლიურად, 1.2 მლნ ბარელის წარმადობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით თურქმენული ნავთობის ექსპორტი 2010 წლის ივლისში დაიწყო და 2013 წლის 1 ივლისამდე ჯეიჰანში 8.756 მლნ ტონა თურქმენული ნავთობის გადატვირთვა მოხდა, 2013 წელს გადატვირთული, 1.59 მლნ ტონის ჩათვლით. ამასთან, 3.048 მლნ ტონა ნავთობი გადაიტვირთა 2012 წელს და 2.237 მლნ ტონა — 2011 წელს. აღსანიშნავია, რომ წელს, ივნისში (279,289 ტონა), მაისთან შედარებით (270,350 ტონა), ამ მილსადენით თურქმენული ნავთობის ტრანზიტმა დაიკლო. ექსპერტულ წრეებში ამას ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა აუცილებელია გაირკვეს, რა ხდება...

აღსანიშნავია, რომ ყაზახური „ყაზმორტრანსფლოტი“ ემზადება ხელშეკრულების გასაფორმებლად ტრეიდერ „არიასთან“ (ARIA Petroleum) თურქმენეთის ნავთობის საბადო „კიანლიდან“, ყაზახეთის პორტ აქტაუში ნავთობის ტრანსპორტირებაზე, საიდანაც გათვალისწინებულია ნავთობის ცისტერნებით გაგზავნა უზბეკეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. უახლოეს დღეებში დაიწყება სატესტო გადატვირთვა. თუ ეს მარშრუტი მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მაშინ "არიასა“ და „ყაზმორტრანსფლოტს“ შორის გაფორმდება გრძელვადიანი კონტრაქტი ყოველთვიურად 50 ათასი ტონა (რაც წლიურად 600 ათას ტონას, ანუ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით 2012 წელს გადატვირთული ნავთობის მეხუთედს და 2011 წელს გადატვირთულის მეოთხედზე მეტს შეადგენს) თურქმენული ნავთობის პორტ აქტაუში ტრანსპორტირებაზე.

აღსანიშნავია, რომ „კიანლის“ საბადოს ამუშავებს მალაიზიური კომპანია „პეტრონასი“ (Petronas Carigali). დღემდე, ისევე როგორც თურქმენეთის „ჩელეკენის“ ოფშორულ საბადოზე მომუშავე ბრიტანულ-არაბული „დრაგონი“ (Dragon Oil), „პეტრონასიც“ მოპოვებულ ნავთობს ექსპორტზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით აგზავნის.

რუს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ წმინდა მოგება (net-back), რომელსაც ელის „პეტრონასი“ უზბეკეთში „არიას“ საშუალებით ნავთობის მიწოდებით, არსებითად გადააჭარბებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით გადაგზავნით მიღებულ შემოსავალს. საქმე ისაა, რომ თურქმენული ნავთობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანში ხვდება „სოკარის“ ფილიალის, „სოკარ ტრეიდინგის“ (SOCAR Trading) საშუალებით. ის ამ მილის შესასვლელში, ბაქოში ყიდულობს ნავთობს და ჯეიჰანში უკვე თავისი სახელით ყიდის. არსებული ინფორმაციით, ერთი ბარელი BTC ნავთობის სორტი CIF-ხმელთაშუაზღვის პირობით, იყიდება „ბრენტის“ სორტის საბირჟო ფასზე ერთი დოლარის დამატებით. ამასთან, „დრაგონი“ 2013 წლის პირველ ნახევარში ბარელ ნავთობს ყიდდა ძალზე იაფად — 86 დოლარად. მეტიც, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „დრაგონის“ კონტრაქტი „სოკარ ტრეიდინგთან“ გულისხმობს, „ბრენტის“ ფასთან შედარებით, 14-17%-იან დისკონტს, რის გამოც არავინ ფარავდა, რომ კომპანია გასაღების ახალი არხების მოძებნას შეეცდებოდა. ასეც მოხდა...

ამ სიტუაციაში, თურქმენული ნავთობის უზბეკეთში გაყიდვა უფრო მომგებიანია — ამ ქვეყანაში ნავთობის და კონდენსატის მოპოვება 2012 წელს დაეცა ისტორიულ მინიმუმამდე – 3.17 მლნ ტონამდე (მათ შორის, ნავთობის – 1.56 მლნ ტონამდე). ამ დროს უზბეკეთის შიდა მოხმარების მოცულობა 4.4 მლნ ტონას უტოლდება. საწვავის ამგვარი ქრონიკული დეფიციტის გამო, უზბეკეთი იძულებულია, ნედლეული მეზობელ ქვეყნებში ეძებოს.

სავარაუდოდ, აღნიშნულის გამო, რუსულ „ტრანსნეფტში“ აცხადებენ, რომ 2013 წლის მაისში რფ-ს პრემიერ მედვედევის განკარგულებით, ბაქო-მახაჩყალა-ნოვოროსიისკის მარშრუტით აზერბაიჯანული ნავთობის ტრანზიტზე სამთავრობათაშორისი ხელშეკრულების დენონსაციის შემდეგ, აზერბაიჯანულის სანაცვლოდ, ამ დღეებში, ნოვოროსიისკში თურქმენული ნავთობის მიწოდება დაიწყება. აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირება მომავალი წლიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ კომერციული კონტრაქტით. ამრიგად, „ტრანსნეფტი“ აღარ არის ვალდებული, მახაჩყალა-ნოვოროსიისკის მილში ჰქონდეს სარეზერვო მოცულობები აზერბაიჯანული ნავთობისთვის ანუ მან მილში ახალი მომხმარებლების – თურქმენეთისა და ყაზახეთის მოზიდვის საშუალება მიიღო. ამასთან, „ტრანსნეფტი“ არ აპირებს მახაჩყალის პორტში ინვესტირებას, თუმცა ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მისი მოდერნიზაციით, შესაძლოა, დაინტერესებული იყოს ჯგუფი „სუმმა“, რომელიც „ტრანსნეფტთან“ ერთად, ფლობს „ნოვოროსიისკის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურს“.

ამრიგად, ერთი მხრივ, უზბეკეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისკენ აქტაუს პორტის გავლით, თურქმენული ნავთობის გადაზიდვის შესაძლო დაწყება, მეორე მხრივ, ამ დღეებში მახაჩყალა-ნოვოროსიისკის ნავთობსადენით თურქმენული ნავთობის ტრანსპორტირება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ერთ-ერთ შემავსებელს – ცენტრალური აზიის ფრაზტს დააკარგვინებს, რაც არა მარტო ფინანსურ ზარალს მოუტანს მის დამფუძნებლებს, არამედ ამ სტრატეგიული მილსადენის საერთაშორისო იმიჯზეც იმოქმედებს.

ვერსიანიუსი

არმაზ ახვლედიანი: „ქართული ოცნებიდან“ წევრების გადინებაზე ლაპარაკი ზედმეტია!“

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი არმაზ ახვლედიანი უარყოფს ბოლო დროს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ნინო ბურჯანაძის პარტიაში გადასვლის შესახებ და მას კონკურენტების მხრიდან სასაცილო პოლიტიკური ტრიუკი უწოდა.

„ის რეალობაა, რომ უამრავი ადამიანი უერთდება „ქართულ ოცნებას“. პირველი ოქტომბრის შემდეგ დგება დრო, როდესაც საქართველო უნდა გადავიდეს თვისებრივად ახალ ეტაპზე, „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აქტიურად ემზადება და ამიტომ არანაირ გადინებაზე, მით უფრო, მასობრივზე ლაპარაკი ზედმეტია. ერთი წლის წინ, მმართველი გუნდიდან გადასვლა იყო ღალატი და ქვეყნის დაქცევის ტოლფასი. დღეს ამაყი ვარ, რომ ორი წევრის გადასვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ყველა თავისუფალია არჩევანში. „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი აძლევენ ამის მაგალითს ჩვენს წევრებს“, — აღნიშნა ახვლედიანმა.

„მედიანიუსი“

ონლაინ გამოკითხულთა უმრავლესობა ყველაზე დადებითად ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას აფასებს

პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მინისტრებს შორის ინტერნეტგამოკითხულთა უმრავლესობა ყველაზე დადებითად შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას აფასებს.

საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ინტერნეტგამოკითხვის მიხედვით, ყველაზე პოპულარული მინისტრების ხუთეული ასე გამოიყურება: ირაკლი ღარიბაშვილი — 25.83%, ირაკლი ალასანია — 17.28%, დავით ნარმანია — 8.83%, კახი კალაძე — 8.64% და დავით სერგეენკო — 8.17%.

შემდეგი რეიტინგი კი ასეთია: თეა წულუკიანი — 7.41%, დავით დარახველიძე — 3.89%, ხათუნა გოგალაძე — 3.23%, ნოდარ ხადური — 2.75%, შალვა ფიფია — 1.99%, გიორგი კვირიკაშვილი — 1.8%, ალექსი პეტრიაშვილი — 1.71%, ლევან ყიფიანი — 1.61%, თამარ სანიკიძე — 1.52%, სოზარ სუბარი — 1.33%, მაია ფანჯიკიძე — 1.33%, პაატა ზაქარეიშვილი — 1.04%, გურამ ოდიშარია — 0.95%, კონსტანტინე სურგულაძე — 0.66%.

ორი დღის განმავლობაში მიმდინარე გამოკითხვაში საკუთარი პოზიცია 1053-მა ინტერნეტმომხმარებელმა დააფიქსირა.

„პირველი“

სოფელი და სამღვდელოება ეკლესიიდან 55 ლარის მოპარვისთვის დაჭერილი 21 წლის ბიჭის შეწყალებას ითხოვს!

ნინა მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

„ვერსია“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში, სერაფიმე საროველის სახელობის ახლადაღდგენილი ტაძრის შესაწირი ყუთიდან ფულის მოპარვაზე ახალ დეტალებს გთავაზობთ. მართალია, თავდაპირველად, საზოგადოება დამნაშავის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას ითხოვდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მძარცველი მრავალშვილიანი ოჯახიდანაა, რომელიც სოფელ სამრეკლოს ყოფილი აბანოს შენობაში ცხოვრობს, სოფელი დაკავებულისთვის შეღავათის გაწევის აუცილებლობაზე ალაპარაკდა.

მრავალშვილიანი ოჯახის ტრაგედია უგმიროდ — ცხოვრება აბანოს ყოფილ შენობაში, შიმშილით სიკვდილის მოლოდინი და წართმეული ბავშვობა

დაკავებულის დედა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, ჩემი შვილი დასაქმებული რომ ყოფილიყო, ამ მძიმე დანაშაულს არ ჩაიდენდაო და დახმარებას მის უწმინდესობას სთხოვს.

„ვერსიის“ ინფორმაციით, ეჭვმიტანილის სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების უმეტესობას ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. ეს არაა გასაკვირი, რამეთუ ისინი უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობენ და ყოფილი აბანოს შენობაც ამორტიზებულია — წვიმის დროს ოთახებში წყალი ჩადის. ფანჯრებზე, შუშის მაგივრად, ცელოფანია აკრული.

„მთელ სოფელს ეცოდება. ისეთი ხელმოკლე ოჯახია, ტანსაცმელსა და საჭმელს მეზობლები აძლევენ. კიდევ ერთი შვილი ჰყავთ პატიმარი, უმუშევრები არიან. აკაკიმ ადრე მაღაზიიდან ტკბილეული მოიპარა, რომ მოდიოდა, შოკოლადს ჭამდა და გზადაგზა ქაღალდებს ყრიდა ქუჩაში... ჩაძინებულს ასე მიაგნეს. მთელი სოფელი ამბობს, ძროხის ქურდობის ფაქტი პოლიციამ ტყუილად დააბრალაო, ციხიდან გამოსულიც მუდმივად ხატზე იფიცებოდა, არ მომიპარავსო, ან ეს სუსტი ბავშვი 6 ძროხას რანაირად მოიპარავდა და გადამალავდა? ავადმყოფი ბავშვია, წინა პატიმრობის დროს ციხეში სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს. იმდენად დასუსტებულია, საეჭვოა, ამჯერად ციხიდან ცოცხალი გამოვიდეს“, — აცხადებენ სოფელ სამრეკლოში.

„აკაკის შიოდა და ამიტომ გააკეთა, სახლში არაფერი უჭამია. გვითხრა, იქ როგორ შევედი არ მახსოვს, აზრზე არ ვარ, რანაირად აღმოვჩნდი დაკეტილ ტაძარშიო. 55 ლარამდე ფული წამოუღია და არც დამალა — პური, ძეხვი ვიყიდე, დანარჩენი კი არ დამიხარჯავს, ახლაც ჯიბეში მაქვსო“, — აღნიშნავს დაკავებულის დედა.

„კარგია, რომ ჟურნალისტები ასე ინტერესდებით და ხშირად მოდიხართ... ჩემი აზრით, ამ ბიჭის დაჭერა არ შეიძლებოდა. ციხე ვერ უშველის, მას საავადმყოფო ან ფსიქოლოგები სჭირდება, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას. ის უნდა წაიყვანოს ვინმემ და უპატრონოს“, — ამბობს დაკავებულის კარის მეზობელი ნანი გომიაშვილი.

დაკავებულის დედა მაია ფოცხვერაშვილი პრობაციის ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ დანაშაულის ჩადენამდე პრობაციის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს ოფისს რამდენჯერმე მიაკითხა, ვითარება აუხსნა და დახმარება ითხოვა, თუმცა უშედეგოდ. მისი განმარტებით, დაკავებულს ფსიქიკური პრობლემებიც აღენიშნებოდა, ოჯახი კი სამართალდამცველებს და პრობაციის სააგენტოს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წინასწარ აფრთხილებდა.

„სამჯერ ვიყავი პრობაციის ბიუროში, შეიძლება მეტჯერაც მივედი. ისე ვარ დაბნეული და განერვიულებული, რომ ზუსტად ვერ ვიხსენებ. ოფიცერს ვთხოვე, იქნებ როგორმე დაასაქმოთ, თორემ ძალიანაა ამ ცხოვრებისგან გაღიზიანებული-მეთქი, ვემუდარებოდი, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია, ყურადღება არავინ მოგვაქცია... სამსახური და, ელემენტარულად, ჯიბის ფული რომ ჰქონოდა, ასე აღარ მოიქცეოდა. პოლიციასაც მივმართე, აგრესიულია, ბავშვებს დასდევს და ყელზე დანას ადებს, ექიმთან წაყვანაც მინდა, ფსიქოლოგიც სჭირდება-მეთქი... ხშირად ჩვენც ვერ გვცნობს, ზოგჯერ რომ ვეძახით, დიდხანს გვაშტერდება და ვერ ხვდება, რა ქნას. ხელებიც დასერილი აქვს, ამას წინათ, ჭუჭყიანი შუშებით 30-მდე ჭრილობა მიიყენა. თუ არ სჯერათ, შეამოწმონ, გამოიკვლიონ ბავშვი და ნახავენ, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. მორწმუნე ბავშვია, წირვაზეც დადიოდა, აღდგომისა და ელიათობის ღამისთევასაც დაესწრო, სახლშიც უამრავი ხატი გვაქვს. არ ვიცი, გონება რამ აურია... ღმერთმა ასე დაგვტანჯა, გაჭირვებას ეს მოჰყვა. იქნებ აპატიონ ამ სიღარიბის გამო, პატრიარქმა ან მეუფემ, ან ვინმემ იქნებ შეიფაროს, კალთა გადააფარონ, რომ მდგომარეობიდან გამოიყვანონ ბავშვი. ჩემი კიდევ ერთი შვილი დაკავებულია, იგი ეპილეფსიითაა ავად. ახლობლისგან 20 ლარის ღირებულების ჯვართი წამოიღო, თუმცა მათ ეს მილები 100 ლარად შეაფასეს და ამიტომ დააპატიმრეს“, — აღნიშნავს დაკავებულის დედა.

მიუხედავად იმისა, რომ 11-სულიანი ოჯახი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სტატუსს ატარებს, დაკავებული არც ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს ფლობდა და, უსახსრობის გამო, ვერც ექიმებთან ვიზიტს ახერხებდა. „ვერსიის“ კითხვაზე, რატომ ცხოვრობენ სოფლის აბანოს შენობაში, მრავალშვილიანი დედა პასუხობს, რომ თავად ამავე სოფელშია დაბადებული და გაზრდილი. მისი მეუღლეც მრავალშვილიანი ოჯახის წევრი იყო, თავშესაფარი არც მას ჰქონდა და ამიტომ მშობლიურ სოფელში დაბრუნება ამჯობინა. დიდხანს მოუხდა მაშინდელი ხელმძღვანელების დარწმუნება, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ყოფილი აბანოს შენობა დაუთმეს.

„ვერსია“, ადგილობრივი მოსახლეობის აზრის შესწავლის მიზნით, სოფელ სამრეკლოს გასულ კვირას სამჯერ ეწვია. ჩადენილ დანაშაულს არავინ ამართლებს, თუმცა დაკავებულის ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით, გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასმის დროს შეღავათის აუცილებლობას ხედავს. ფოცხვერაშვილების შემთხვევა განსაკუთრებულია და სამართალდამცველების მხრიდანაც განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს — ასეთია სოფლის პოზიცია.

ყველაფრის მიუხედავად, სიღნაღის სასამართლომ 12 აგვისტოს სხდომაზე დააკმაყოფილა სიღნაღის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობა და ფოცხვერაშვილს 40 დღით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ამასთან, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია 21 წლის აკაკი ფოცხვერაშვილის გათავისუფლებას ითხოვს. შესაბამისი განცხადებით ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ ძალოვან უწყებებს მიმართა. მიმართვა საგამოძიებო მასალებს დაერთო. სპეციალურ განცხადებაში მეუფე მელქისედეკი წერს, რომ დაკავებული სასჯელისგან გათავისუფლდეს და სულიერი ცხოვრების წარმართვისათვის მონასტერს მიემგზავროს. იქვე ნათქვამია, რომ ეპარქიას, რომელიც გამოძიებამ დაზარალებულად სცნო, არ აქვს პრეტენზია და არ სურს მისი სისხლის სამართლის წესით დასჯა.

მამა ონოფრე წულაძე (ეპარქიის მღვდელმსახური, იღუმენი): **„რა თქმა უნდა, ეკლესიის გატეხვამ ყველა შეგვაწუხა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ეს უკიდურესად გაჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახის წევრმა ჩაიდინა და უმნიშვნელო თანხაა წაღებული, გადავწყვიტეთ, რომ მის სულიერ აღზრდაში ჩავებათ. როდესაც პროკურატურამ ჩვენი ეპარქია დაზარალებულად სცნო, ეპარქიის ეპისკოპოსმა ჩვენების მიცემისას გააკეთა განცხადება, რომ არ გვაქვს მოთხოვნა, ეს პირი აუცილებლად სისხლის სამართლის წესით დაისაჯოს და საპყრობილეში განაწესონ. გვაქვს სურვილი, რომ სწორ ქრისტიანულ გზას დაადგეს...**

თუკი იქნება შესაძლებელი, შესაბამისი უწყებებიც გაითვალისწინებენ ეპარქიის მოთხოვნას და აარიდებენ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მეუფის კურთხევით, ამ ადამიანს მონასტერში პირადად წავიყვან და შევეცდები, სინანულის გრძნობით სწორ გზაზე დავაყენო“.

სიღნაღის რაიონულმა პროკურორმა თენგიზ ჩიტიაშვილმა განაცხადა, რომ ბრალდებულმა დანაშაული როცა ჩაიდინა, პირობითი მსჯავრის ქვეშ იყო. პროკურორის ცნობით, დაკავებული ორჯერ არის ნასამართლევი ქურდობაზე.

„რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ეს საკითხი ამ დრომდე არ გამხდარა განხილვის საგანი... ავად კი გახდა და სასწრაფოც გვყავდა გამოძახებული, სანამ დაკავებულს ციხეზე გადაიყვანდნენ. ეპისკოპოსს კი ჩვენთვის არ მოუმართავს. არ მიმაჩნია მართებულად, მისთვის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება“, — აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბრისას.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს, სსსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც 3-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველო აწარმოებს.

„ვფიქრობ, იცის საზოგადოებამ ამ ადამიანის პიროვნული თვისებები და ხასიათის სტრუქტურა, ამდენად, ამის შემდგომ იფიქრეთ, დასასჯელია თუ არა... ეკლესიაში შემწირველი წირავს და უფლის ტაძრიდან გაჭირვებულმა უნდა მიიღოს შეწევნა უფლის სახელით. ამდენად, თუ ასეთი გაჭირვებული 7-შვილიანია, სიმკაცრე რა მოსატანია... აუცილებლად უნდა დავეხმაროთ“, — ამბობს ადგილობრივი ნუნუკა ბიკაშვილი.

სიღნაღის პროკურორმა სასამართლო სხდომაზე აღნიშნა, რომ გამოძიების დასრულებისთვის და მტკიცებულებების მოსაგროვებლად 40 დღე საკმარისია. ორთვიანი წინასწარი პატიმრობის ნაცვლად, დაკავებული წინასწარი დაკავების იზოლატორში მხოლოდ 40 დღე დარჩება, მომდევნო სასამართლო სხდომა 20 სექტემბერს დაინიშნა.

ვერსიანიუსი

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1984 წელს დაბადებული დუხუნა მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 44 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

ამასთან, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-3 განყოფილების და დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული გიორგი მ. ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი მაყუჩით, „მაკაროვის“ სისტემის 31 ცალი და „ბრაუნინგის“ ტიპის 21 საბრძოლო ვაზნა, „ერ-გე-დე-5“-ის და „ეფ-1"-ის ტიპის 2 ხელყუმბარა, ხოლო საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 5 მჩხვლეტავ-მჭრელი დასაკეცი დანა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

პოლიციამ ინტერპოლის მიერ ძებნილი მოლდოვას მოქალაქე დააკავა

სამართალდამცველებმა სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, თურქეთიდან საქართველოს მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას კიშინიოვის ინტერპოლის მიერ ძებნილი მოლდოვას მოქალაქე, 1975 წელს დაბადებული სერგიუ ბურცოვსკი (Sergiu Burcovschi) დააკავეს. აღნიშნული პიროვნება დაპატიმრების და შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, საერთაშორისო ძებნაში 2013 წლის 3 მაისიდან იმყოფებოდა.

სერგიუ ბურცოვსკის ბრალად ედება მოლდოვეთის სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს დიდი ოდენობით ჩადენილ თაღლითობას. აღნიშნული დანაშაული მოლდოვური კანონმდებლობის მიხედვით, 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ძებნილის მიმართ წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

სუდოკუმანია

ადვილი

		9			5			
6		3					2	
8					2	1	5	9
		5	2					
			1		7			
					4	3		
9	4	1	7					5
	3						4	6
			4			8		

სტანდარტი

		1		5				4
	3				6		8	2
			4		7		3	
1		3	6				9	
		4				2		
	6				5	3		8
	4		2		9			
3	5		8				2	
2				6		9		

რთული

	5	8		7				
7			1					5
	2					7	4	
	3	2	8			1		
8								7
		5			9	4	3	
	9	4					6	
3					4			9
				9		3	1	

ექსპერტი

8				6	5	9		3
			7		4			
						1		7
2		4			3		9	6
1								2
6	9		2			7		1
9		3						
			4		1			
4		1	9	2				8

1.მხედველობის მოშლა, რომლის დროსაც საგნები ორად ეჩვენებათ

2. ტაძარი ახმეტის რაიონში

3.კრივში: ბრძოლა ახლო დისტანციაზე

4. ეკლესიას მიშენებული სამლოცველო

5. ცეკვების და საბალეტო სპექტაკლების დადგმის ხელოვნება

6. კანფეტის ლამაზი კოლოფი

7. ღვინის ობი

8.ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე

9. მთის თუთიყუში

10.გაპოლიტიკოსებული ლიბერილი ფეხბურთელი

11. თეატრის კოლექტივი

12. პირველი პირის ნაცვალსახელი

13. ბერძნული ანბანის ასო

14.მევენახეობის მფარველი ქართული ღვთაება

15.პოპულარული რუსი მსახიობი

16.მრავალსართულიანი კოშკი შუამდინარეთში

17.ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში

18. ორგანიზმის ნაწილი

19.დიდი ფორმატის სქელი წიგნი

20. ცეცხლის მნათი ნაწილი

21. საფრანგეთის დედოფალი მარია ...

22.სლოვაკეთის დედაქალაქი

23. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში

24. ადმინისტრ. ტერიტორ. ერთეული

25. დამუხტული ატომი

26.დიდი ადმინისტრ. ტერიტორ. ერთეული

27. ლეგენდ. რუსი მეკარე

28.ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი

29.ინდონეზიური ჯუჯა კა-მეჩი

30. კეთილშობილი მეომარი

31. მდინარე შიდა ქართლში

32.ცხენის ზურგზე გადასაფარ. ქსოვილი

33. უძვ. ქალაქი შუამდინარეთში

34. კეთილშობილი მეტალი

35. უმაღლესი შედეგი სპორტში

36. ბარათაშვილის პოემა „ბედი ...“

37. ტბა აფრიკაში

38. სპოროვანი მცენარე

39.დემნა შენგელაიას „ბათა ...“

40. ჭიდაობის ილეთი

41.ქურუმი, რომელიც ფრინველებზე მკითხაობდა

42. ნაპოლეონის მარშალი

43.დედამიწ. ზედაპირის გამოსახულება სიბრტყეზე

44. საქართველოს ვალუტა

45. მდინარე აზიაში

46. „..., რომელიც იცინის“

47. იგივეა, რაც სასულე

48. სუსტი ქარი

49.ლაგერლოფის ზღაპრის პერსონაჟი

50. ყურძნის ნარჩენი ღვინის დაწურვის შემდეგ

51. გალაკტიონ ტაბიძის მშობლიური სოფელი

52. ლონდონის ცნობილი აუქციონი

53. წიგნის ან ფურცლის ზომა

54.დღის მომდევნო დღეს ანუ ...

55. ძაღლის ჯიში

56. ქართული ხალხური სიმღერა

57.ვაჟას „გველისმჭამელის“ პერსონაჟი

58. სპორტის სახეობა

59. ზედა და ქვედა ყბა ერთად

60. „მამელუკის“ პერსონაჟი

61. ფინელი ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი ... ჰაკინენი

62. ზღვაში მობინადრე კიბორჩხალა

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	1	2	3	4	7	8	6	5
8	7	4	6	5	1	9	3	2
6	3	5	2	9	8	7	4	1
7	6	3	1	8	4	2	5	9
5	9	8	7	3	2	4	1	6
4	2	1	9	6	5	3	8	7
3	8	9	5	2	6	1	7	4
2	5	7	4	1	3	6	9	8
1	4	6	8	7	9	5	2	3

სტანდარტი

8	1	9	7	4	3	2	6	5
6	4	7	5	2	1	3	9	8
3	5	2	9	8	6	7	4	1
2	8	6	1	7	5	9	3	4
7	3	5	4	9	2	1	8	6
1	9	4	3	6	8	5	7	2
9	6	8	2	5	7	4	1	3
5	7	3	8	1	4	6	2	9
4	2	1	6	3	9	8	5	7

რთული

3	2	7	5	1	9	4	6	8
4	6	5	3	2	8	1	9	7
1	9	8	7	6	4	5	3	2
2	4	1	9	7	6	3	8	5
9	8	3	4	5	2	7	1	6
7	5	6	1	8	3	2	4	9
6	3	4	2	9	5	8	7	1
8	1	2	6	4	7	9	5	3
5	7	9	8	3	1	6	2	4

ექსპერტი

1	2	3	7	5	6	9	4	8
9	4	7	8	3	2	6	1	5
6	5	8	4	1	9	2	3	7
2	1	9	3	8	7	5	6	4
4	3	6	9	2	5	8	7	1
7	8	5	1	6	4	3	2	9
8	6	4	5	7	3	1	9	2
5	9	2	6	4	1	7	8	3
3	7	1	2	9	8	4	5	6

ადვილი

6	9	5	4	8	3	7	2	1
7	4	3	2	1	6	5	9	8
2	1	8	9	7	5	6	4	3
1	7	6	5	4	9	8	3	2
5	3	2	1	6	8	4	7	9
4	8	9	7	3	2	1	6	5
9	2	1	6	5	7	3	8	4
3	6	4	8	9	1	2	5	7
8	5	7	3	2	4	9	1	6

სტანდარტი

4	8	3	2	5	9	1	7	6
2	1	7	6	4	3	5	9	8
9	6	5	1	8	7	4	3	2
6	2	8	9	3	1	7	5	4
3	9	4	5	7	6	8	2	1
5	7	1	8	2	4	3	6	9
8	5	6	7	1	2	9	4	3
1	4	2	3	9	5	6	8	7
7	3	9	4	6	8	2	1	5

რთული

9	4	2	8	7	6	5	3	1
1	3	7	5	4	9	8	6	2
6	8	5	3	2	1	4	9	7
7	5	6	4	1	3	2	8	9
2	1	8	9	6	7	3	5	4
4	9	3	2	5	8	7	1	6
8	7	1	6	3	2	9	4	5
5	2	9	1	8	4	6	7	3
3	6	4	7	9	5	1	2	8

ექსპერტი

2	5	3	9	1	4	8	7	6
1	9	7	8	6	2	5	3	4
6	4	8	7	5	3	1	2	9
5	3	6	4	2	1	9	8	7
9	8	2	6	7	5	4	1	3
7	1	4	3	9	8	2	6	5
3	6	1	5	8	9	7	4	2
8	7	9	2	4	6	3	5	1
4	2	5	1	3	7	6	9	8

მე-13 გვერდი: 1.თურაშაული; 2. ოტური; 3. კოლაფსი; 4. ანკესი; 5. ლაერტი; 6. პრიზმა; 7. „რომა“; 8. ზენიტი; 9. კლეპტომანია; 10. უბანი; 11. აუტი; 12. ომონიმი; 13. სეტერი; 14. ილორი; 15. პანამა; 16. ეტრატი; 17. უდი; 18. ემა; 19. პეჩორა; 20. ატა; 21. იაიკი; 22. გლაზგო; 23. ედემი; 24. ელიბო; 25. არინა; 26. პაი; 27. ფილე; 28. ემზადე ომისთვის; 29. აჯანი; 30. ანკეტა; 31. მულატი; 32. ლატი; 33. ზესტაფონი; 34. ჩაი; 35. თონე; 36. ზეთი; 37. ზარზმა; 38. მთოვარისა; 39. ჯამი; 40. ამაო; 41. უვერტიურა; 42. დანა; 43. მაიამი; 44. მეტ; 45. ეტი; 46. რუი; 47. ნურმი; 48. „ორერა“; 49. ბერე; 50. ონი; 51. სტაფაჟი; 52. ტოლმა; 53. ვან; 54. ვალისნერია; 55. ასტანა; 56. ალბა; 57. ელიტა; 58. დოჰა; 59. ფარდა; 60. სიესტა; 61. „რიენცი“; 62. ირისი; 63. ამბორი; 64. დომიე; 65. დეკადა; 66. ჰერერა; 67. ალე; 68. „ნისანი“; 69. ეთერ; 70. ოფი; 71. „აბბა“; 72. ნია; 73. მესია; 74. ბუი; 75. კუბა; 76. „ბობი“; 77. ბაყე; 78. სირმა; 79. ბუ; 80. სუ; 81. პარმა; 82. სან; 83. უზი; 84. დაბალი; 85. დღე; 86. კასიოპეა; 87. ციტრა.

1. უნგრეთის უდიდესი ტბა
2. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია
3. ხემცენარეებით და ბალახით დაფარული ადგილი უდაბნოში
4. სამშობლოს მტრებთან თანამშრომლობა ფაშისტური ოკუპაციის დროს
5. მარგალიტას ქმარი „შეერეკილებში“
6. ამონიუმ-ქლორიდი
7. რუსი საოპერო მომღერალი
8. თაავზიანი მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში
9. თეფშის მოძველებულ-ლი სახელწოდება
10. წყლის დიდი ფრინველი ვარდისფერი ბუმბულით
11. მდინარე ავსტრიასა და გერმანიაში
12. შიშველი სხეულის გამოსახვა ხელოვნებაში
13. ბუდისტური ტაძარი
14. მსახიობი ... სმიტი
15. შოტლანდიელთა ეროვნული გმირი
16. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი
17. სიგრძის საზომი ერთეული ჩინეთში
18. კაპიტან ნემოს ხომალდი
19. ყინული - ინგლისურად
20. ფრანგი დიზაინერი
21. მუსლიმანური წმინდა თქმულება
22. ფრანგი მხატვარი-ნეოიმპრესიონისტი
23. ცალთვალა გოლიათი ბერძნულ მითოლოგიაში
24. ყვავის ნაშიერი
25. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა
26. ანგოლის დედაქალაქი
27. რიხარდ ვაგნერის ოპერა
28. ჭაბუა ამირეჯიბის „...მბორგალი“
29. ანდრომედას დედა ბერძნულ მითოლოგიაში
30. ბუდიზმის დამაარსებლის გვარი
31. აშშ-ის შტატი
32. ეთერზეთოვანი მცენარე
33. შემდგომში გადასახდელი დანახარჯი
34. გაზაფხულის ყვავილი
35. ფოსო თვალის ქვეშ
36. ვინი პუჰის ავტორი
37. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
38. პატარა ტყე მინდორში
39. ხორცპროდუქტების ქართული ფირმა
40. ოგივეა, რაც ფაიფური
41. ქართული ხალხური ზღაპარი
42. ყველაზე დიდი გველი
43. „ინტერნაციონალური“ მდინარე
44. წარწერა გერბზე
45. მეომარი ქალი სკანდინავიურ მითოლოგიაში
46. ოგივეა, რაც სანთელი
47. მარადონას ერთ-ერთი სახელი
48. სამოვრებით განთქმული რუსული ქალაქი
49. მუსიკალური გამის IV ნოტი
50. წიწვოვან მცენარეთა წეზოვანი წვენი
51. პარიზის აეროპორტი
52. არგენტინელი ფეხბურთელი
53. მონარქიული ქვეყნების კავშირი
54. წინასწარ გადახდილი თანხა შესრულებული სამუშაოსაკენ
55. ქარიშხალი, რომელიც აჩენს უზარმაზარ მტვრის სვეტს ხმელეთზე
56. ტიალი, ვერანი
57. იაპონელთა ტრადიციული სასმელი
58. სასვენი ნიშანი
59. ამერიკელთა მეტსახელი
60. დიდი ციმბირული ირემი
61. სიმინდის ყვავილედი
62. მსახიობი ... ფეროუ
63. ჟორჟ სიმენონის კომისარი
64. „ციფერკანწელთა“ საყვარელი ყვავილი
65. სოფელი ონის რაიონში
66. საჭმელების სია
67. ცოცხალი ორგანიზმის ავებულების შემსწავლელი მეცნიერება
68. „... წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“..
69. უკრაინის პარლამენტი
70. ძალიან იშვიათი ნივთი
71. ქსოვილის მოხატვის ხელოვნება
72. ლიტვის ეროვნული ვალუტა
73. კაენის მსხვერპლი
74. აჭარული ცეკვა
75. (კუთხ.) ერთად თავშეყრილი ხალხი

სახლს ღობე-აკვარიუმი აქვს

წარმატებულმა თურქმა ბიზნესმენმა და ინჟინერ-ტოპოგრაფმა მეჰმეტ ალი-გიუკსეროღლუმ ქალაქ იზმირში მდებარე საკუთარ ვილას, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი, საოცარი და ორიგინალური გალავანი შემოარტყა. მეტალის ან ხის სტანდარტული ღობის ნაცვლად, მან მთელი 50 მეტრის სიგრძეზე აკვარიუმი დადგა, რომელიც თევზის ასობით სახეობისა და ზღვის სხვა ცხოველებითაა სავსე. ეგეოსის ზღვის პირას მდებარე სახლი ყოველდღიურად ათასობით მნახველს იზიდავს, ასეთი ექსცენტრული იდეა კი ბიზნესმენს რვა წლის წინ გაუჩნდა და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. ყველაზე რთული აკვარიუმის ზღვის წყლით მომარაგება იყო. ამისთვის სახლის პატრონს მილსადენის მიწაში ღრმად ჩადება და მისი ეგეოსის ზღვამდე მიყვანა დასჭირდა. ამ ოცნების ასრულება თურქ ბიზნესმენს 21 ათასი დოლარი დაუჯდა, მით უმეტეს, რომ ქურდებისა და ვანდალებისგან აკვარიუმის დაცვისთვის სათვალთვალო სისტემაც დაამონტაჟა. მნახველებს შეუძლიათ დათვალიერება და ფოტოების გადაღებაც, მაგრამ როგორც კი აკვარიუმთან ზედმეტად ახლოს მივლენ, გამაფრთხილებელი სიგნალი ირთვება.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲤᲔᲠᲫᲘ — დღეს საკარიერო საკითხებზე ბევრი ფიქრი მოგიწევთ. ნუ იჩქარებთ დასკვნების გაკეთებას, ეველა ბლუს-მინუსი აწონ-დაწონეთ, რადგან, შესაძლოა, შემოთავაზებული საქმე არ შეესაბამებოდეს თქვენს ცხოვრებისეულ ღირებულებებს. დღის მეორე ნახევარი ახლობლებთან ერთად გაატარეთ, მათ თქვენი ყურადღება და მხრუნველობა სჭირდებათ.

ᲙᲣᲠᲘ — დღე ემოციურად დაძაბული იქნება, შესაძლოა, რადაც ვერ გათვალოთ საქმეში ან პარტნიორის არჩევაში შეცდეთ. დღეს ინტუიციაც ღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ. ნუ დაემორჩილებით ნეგატიურ აზრებსა და გრძნობებს, არავითარ შემთხვევაში, არ დაკარგოთ ოპტიმიზმი.

ᲒᲐᲣᲯᲔᲜᲘ — შესაძლოა, დღე ძალიან მძიმე აღმოჩნდეს. მძაკაცებისთვის ახალი ნაცნობობა მეტად ხანმოკლე იქნება. უნდობლობა ძლიერი ემოციებისადმი, თავშეკავებულობა, ასევე ეჭვიანობა ურთიერთობას გაგიფუჭებთ საყვარელ ადამიანთან. სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. დღის მეორე ნახევარში შეგიძლიათ, მოდუნდეთ და მეგობრებთან ერთად, გასართობად წახვიდეთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღეს თქვენი ფინანსური მდგომარეობა, შესაძლოა, გაუმჯობესდეს. პასუხისმგებლობის გრძნობა და მათემატიკური აზროვნება წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში ან მნიშვნელოვნად აგიმაღლებთ ავტორიტეტს უფროსობასა და კოლეგებში. საღამოს დიდია ალბათობა რომანტიკული შეხვედრისა ან ახალი ნაცნობობისა, რაც შესაძლოა, სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

ᲚᲝᲛᲘ — ლომებისთვის რთული დღეა, არასასურველი გარიგებებისთვის, საეიდღეებისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, ფეხი აუწეთ სამუშაო რიტმს. სჯობს, აზრები მოიკრიბოთ, ცხოვრება კი თავად გიკარნახებთ გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან. დღის მეორე ნახევარში გადადეთ ეველა ვიზიტი.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — თქვენთვის კარგი დღეა, თუკი გადწყვეტთ, დაწყებული საქმე კონკრეტულ შედეგამდე მიიყვანოთ. იზრდება თქვენი შემოქმედებითი და ენერგეტიკული პოტენციალი, თუმცა დღის მეორე ნახევარში, შესაძლოა, პრობლემები ახლობლებთან ურთიერთობაში.

ᲯᲐᲜᲘ — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა ივსება. დღეს არ ღირს, რაიმე ახლით დაკავდეთ, სჯობს, ძველი ქა-ღალდები გადაარჩიოთ, ჩანაწერები მოძებნოთ, რადგან, შესაძლოა, ეს ახლა საკმაოდ აქტუალური იყოს. სასიკეთო დღეა ასევე კონფლიქტური საკითხების მოსაგვარებლად.

ᲠᲘᲫᲘᲐᲜᲘ — დღეს სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალ დონეზეა, რაც ხელს შეუშლის თქვენი ორგა-ნიზატორული ნიჭის წარმოჩენას. ნუ შეეცდებით, ახლავე დაიპყროთ ახალი მწვერვალები, ვარსკვლავები ასევე არ გირჩევენ სამსახურის შეცვლას ან დამატებითი შემოსავლის ძიებას საქმიანობის სხვა სფეროებში, რადგან დიდია ალბათობა, რომ მოგატყუებენ და იმედგაცრუებული დარჩებით.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — ცვლილებების, მოლაპარაკებების, ახალი კონტრაქტების დღეა, გამოსწორდება თქვენი ფინანსური მდგომარეობაც. შესაძლოა, კარგეული თანხა მიიღოთ, მაგრამ უპირველესად, გთავაზობენ ვალდებულებებისგან. დღის პირველ ნახევარში საქმის წარმატებას ხელი შეიძლება ზედმეტმა სიმკაცრემ შეუშალოს, მეორე ნახევარში კი — სიჩქარემ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — სახლში არსებული სიყვარული და ჰარმონია მატერიალურ მდგომარეობაზეც აისახება. თქვენი თავდაჯერებულობა დაგეხმარებათ, სწორი გადწყვეტილებები მიიღოთ მნიშვნელოვან საკითხებზე. ნუ შეეცდებით პრობლემის უმალ გადაჭრას, ცხოვრება თავად გიკარნახებთ საჭირო დროს. დღის მეორე ნახევარი, უმჯობესია, მეუდრო კარემოში, მეგობრების წრეში გაატაროთ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — შანსი გეძლევათ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა, შეგიძლიათ, თავი საქმიანობის სხვა-დასხვა სფეროში წარმოაჩინოთ, შემოქმედებითი პოტენციალი მატულობს. აუცილებელია, უფრო სერიოზულად მიუდგეთ თქვენს მოვალეობებს. ეს გაგიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას — შესაძლოა, კარგეული თანხა მიიღოთ, რომელიც სჯობს, სარფიან პროექტებში დააბანდოთ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — თქვენი ბიუჯეტი ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. კარსკვლავები სწორედ დღეს გირჩევენ კონ-ტრაქტების დამყარებას საქმიან პარტნიორებთან, თუმცა საბოლოო შედეგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს შრომისუნარიანობაზე. დრის მეორე ნახევარში მოსალოდნელია კამათი ახლობელ ადამიანებთან.

სკოლაში ფოტოშოფის სპეციალურ გაკვეთილებს ჩაუტარებენ

ლონდონის სკოლებში ახალ საგანს ასწავლიან — ცნობილი ადამიანების ფოტოშოპს. ამ გზით ბავშვებს უხსნიან, რომ მოდური ჟურნალების ყდაზე გამოსახული ყველა მოდელი, სინამდვილეში, ასე არ გამოიყურება და ცხოვრებაში ისინი — მსახიობები, მომღერლები თუ მოდელები სულ სხვანაირები არიან. პოპულარული გამოცემების ყდებზე იდეალური ქალები არიან. 50 წლისებს სახეზე არც ერთი ნაოჭი არ აქვთ, ვიწრო წელი და მოხდენილი სხეული — ცელულიტისა თუ ზედმეტი წონის ნასახსაც ვერ შეამჩნევთ. ამის გამო ლონდონის სკოლების მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, ბავშვებს აუხსნან, რომ ცხოვრებაში ისინიც ჩვეულებრივი ადა-მიანები არიან. უკვე ახალი წლიდან, ბრიტანეთის დედაქალაქის სასწავლი დაწესებულებებში, 10 წლიდან და ზემოთ მოსწავლეებს ფოტოშოპის სპეციალურ გაკვეთილებს ჩაუტარებენ. მარტივი მაგალითებით მოზარდებს აჩვენებენ, ჟურნალები და გაზეთები როგორ ახდენენ ცნობილი ადამიანების ფოტოების რედაქტირებას, რათა ისინი ღვთაებას დაამსგავსონ, თითქოს მათ მიწიერი პრობლემები არ ეხებათ. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ასეთი სურათები ადამიანებს არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს. თუ ექსპერიმენტი ლონდონის სკოლებში წარმატე-ბული აღმოჩნდება, მას მთელი ბრიტანეთის სასწავლო დაწესებულებებში შემოიღებენ.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲤᲔᲠᲫᲘ — ფერძებს დღეს შეხვედრები, დისკუსიები ელით. შესაძლოა, მხარდამჭერები ახალ ნაცნობებში ნახოთ, მათი სიმპათია და ავტორიტეტული ადამიანების მფარველობა დაიმსახუროთ. გამოავლინეთ შემოქმედებითი აზ-როვნება და ნუ მოგერიდებათ ხუმრობის.

ᲙᲣᲠᲘ — დღეს გაუთვალისწინებელი ხარჯი გელით, მაგრამ შეძლებთ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მაინც ღირს შემოსავლების ახალი წყაროების ძიება. ყურადღებით იყავით ურთიერთობისას და არ გამოგრჩეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ᲒᲐᲣᲯᲔᲜᲘ — თქვენი კონტრაქტორობისა და გახსნილობის წყალობით, ადვილად მოიპოვებთ ადამიანების ნდობას. ახალი ნაცნობობა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ხელსაყრელიც იქნება. გაუმხილეთ თქვენი ჩანაფიქრი კოლეგებს ან ახლობლებს და მაშინვე მიიღებთ მათგან სასარგებლო რჩევებს.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — თქვენი მონდომება დღეს ყველა წინააღმდეგობას დაძლევს და დასახულ მიზანს მიაღწევთ. წარმატება ველით არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ პირად ფრონტზეც. შეგიძლიათ კარდინალურად, უკეთე-სობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. დადგა დრო, გადაწყვეტილების მიღებისა.

ᲚᲝᲛᲘ — ლომებს შესაძლებლობა ეძლევათ, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. მთავარია, წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიოთ და სიფრთხილე არ დაივიწყოთ. ნუ მიახარჯავთ ერთბაშად მთელ თანხას უსარგებლო ნივთებში. თავი ხელში აიყვანეთ და გონებას მოუხმეთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ქალწულებს შეუძლიათ, დღეს საკუთარი პროექტების ნახევარი მაინც, რეალობად აქციონ. თქვენთვის საქმიანობის ისეთი ახალი მიმართულებები გამოჩნდება, რომელიც საკმაოდ საინტერესო პერსპექტივებს დაგისახავთ — მატერიალურ კეთილდღეობასა და მორალურ კმაყოფილებას.

ᲯᲐᲜᲘ — სასწორებს დღეს ფინანსური სირთულე ელით. შესაძლოა, დიდი თანხა დახარჯოთ გაუთვალისწინებელ ნივთებზე ან ძველი ვალი დაბრუნოთ. სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში ყველაფერი პირიქითაა — სასიამოვნო სიახლე გელოდებათ და სიტუაციაც თქვენთვის სასიკეთო მიმართულებით შეიცვლება.

ᲠᲘᲫᲘᲐᲜᲘ — თქვენი ცხოვრების ტემპი მნიშვნელოვნად აჩქარდება. ფიქრი და მოქმედება საკმაოდ სწრაფად მოგიწევთ. პროფესიულ სფეროში გარკვეული გამოცოცხლებაა. შესაძლოა, სხვა საქმით დაკავდეთ ან სხვისი მოვა-ლეობები შეასრულოთ. მოთმინება და პატიოსნება ეველა სირთულეს გადაგალახვინებთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — დღეს შეიძლება მოულოდნელად, მატერიალური მხარდაჭერა მიიღოთ ამ წყაროდან, რომლის იმედიც საერთოდ არ გქონდათ. სასიამოვნოდ გაგაოცებთ ძველი ნაცნობიც, რომელიც დირსეულ დახმარებას გაგიწევთ თქვენი სურვილის რეალიზებაში, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე აუხდენელი ოცნება გეგონათ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — სერიოზული საუბარი მოგიწევთ საყვარელ ადამიანთან, რომელიც, სხვათა შორის, მხიარულ და საიმედო ნოტზე დასრულდება. ახლა სწორედ შესაფერისი დროა, დაალაგოთ ურთიერთობები ადამიანებთან, ვინც გაწუხებთ ან ვისაც აწუხებთ. იყავით გულღია და პატიოსანი.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — მერწყულებს გრანდიოზული ღონისძიება ელით: დიდი გამოფენა, ბაზრობა ან კარგი კონცერტი. შეგიძლიათ, იმედი იქონიოთ არა მხოლოდ იმაზე, რომ დროს კარგად გაატარებთ და ესთეტურ სიამოვნებას მიიღებთ, არამედ იმაზეც, რომ ახალ ადამიანებს გაიცნობთ ან ძველ მეგობარს შეხვდებით.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — თევზებს შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავების დღე აქვთ. უჩვეულო აზრები და ორიგინალური იდეები თავში გიღიტინებთ და გამოსვლას ითხოვს. როგორ განკარგავთ მას, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. თუ თქვენ ნოვატორულ გეგმების გამოსაყენებლად ვერაფერს მოიფიქრებთ, გაუზიარეთ ის კოლეგებს ან მეგობრებს.

ᲪᲥᲘᲚᲐ ᲫᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲗᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲗ

ამერიკის ეროვნული ქიმიური საზოგადოების მეცნიერები გვირჩევენ, ძვლების გასამაგრებლად დავლიოთ... ტეკილა. საქმე ის არის, რომ სწავლულების მტკიცებით, სასმელი აგავასგან გამოყოფილ სასარგებლო ფერმენტებს შეიცავს, რომელთა მეშვეობით კალცს მაქსიმალურად ეფექტურად ითვისებს ორ-განიზმი. როგორც ექიმები ამბობენ, აგავას ფერმენტები ასევე სასარგებლოა სისუსტის დროს და სიმსუქნის საწინააღმდეგოდ, საკვების გადამუშავების პრობლემებისას და დიაბეტისას. გლუ-კოზას წყალობით, რომელსაც მცენარე შეიცავს, ფერმენტები გემოთი სასიამოვნო და ტკბილია. ექსპერიმენტებისას მას პერიოდულად აძლევდ-ნენ მღრღნელებს, შედეგად კი მათი ძვლები 50% (!) უფრო მტკიცე გახდა. თუმცა, როგორც მე-დიკოსები აცხადებენ, ამ ალკოჰოლური სასმელის სამკურნალო პრეპარატად აღიარება, რასაკვირვე-ლია, არ შეიძლება. ტეკილა ალკოჰოლია და რო-გორც ყველა ალკოჰოლური სასმელი, ისიც მავნეა.

მწვანე ფერი ამშვიდებს

ფერების ფსიქოლოგიის მიხედვით, მწვანე იმედის, მშვიდობისა და უს-აფრთხოების ფერია. მიიჩნევა, რომ ადამიანის თვალი ამ ფერის უამრავ ტონალობას აღიქვამს, რაც სხვა ფერების შემთხვევაში არ ხდება. ეს შეიძლება იყოს ხალასი, ნათელი, ღია და მუქი ფერები, ასევე ცივი და თბილი შეფერილობა... ფსიქოლოგები მწვანეს ყველაზე დამამშვიდებელ ფერად მი-იჩნევენ, განსაკუთრებით მის ნათელ ტონალობას, რომელიც სიმშვიდის შეგრძნებას იწვევს. სწორედ ამიტომ, ინტერიერის დიზაინერები ხშირად ურჩევენ მომხმარებლებს, სახლში ერთი ოთახი მაინც ჰქონდეთ მწვანე ფერში გადაწყვეტილი.

სუდოკუ

ადვილი

	6	8		5			1	
2					6			
		4		2			7	
					8	9		
	5	6				4	8	
		2	1					
	9			4		1		
			5					4
	8			3		6	5	

სტანდარტი

		3	9		5	7		4
8	7			4			1	
						3		
7						4	8	
	8						5	
	3	9						6
		1						
	4			1			3	5
9		7	3		8	6		

რთული

	5		4				3	
		2		3			7	
9			8				4	
		4		5				3
5			2		9			8
1				8		5		
	1				2			7
	8			6		2		
	7				8		5	

ექსპერტი

					6		3	2
7				3		1		8
				1	8			
	9				7	4		1
		5		4		2		
4		7	1				6	
			6	8				
2		1		5				7
8	5		7					

კვერცხის ცილა წნევას აქვეითებს

ჩინელი სწავლულების ახალი გამოკვლევების მიხედვით გაირკვა, რომ კვერცხის ცილას არტერიული წნევის დაწევა შეუძლია. ცილაში აღმოჩენილ ძირითად კომპონენტს იგივე თვისებები გააჩნია, როგორც მაღალი წნევის დამწევ პრეპარატ „კაპტოპრილს“. მკვლევარების თქმით, ლაბორატორიულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ცილაში აღმოჩენილი ნივთიერება „პეპტიდი“ პროტეინების ბლოკატორია, რომელიც წნევის ისეთ დონეზე შემცირებას ახდენს, როგორც ამას „კაპტოპრილის“ მცირე დოზა აკეთებს. მეცნიერებმა ცილაში არსებული ეს „პეპტიდი“ შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ნივთიერებას უნარი აქვს ACE-ს (რომელიც სისხლში წარმოიქმნება და წნევის მატებას იწვევს) მოქმედება დაბლოკოს. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ „პეპტიდებს“ არ აქვს ტოქსიკური ეფექტი.

ვაქცინა კარიესის წინააღმდეგ

ჩინეთის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ შეძლეს კარიესის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინის შექმნა. ის დნმ-სა და ორი სხვადასხვა ბაქტერიის ცილაზეა დაფუძნებული და კლინიკური ცდების ჩატარებამდე კარგი შედეგი აჩვენა. ცნობილია, რომ კარიესის მიზეზი სწორედ ბაქტერიებია. ისინი გამოყოფს ნივთიერებებს, რაც კბილის ემალს ანგრევს. მეცნიერებს დაებადათ იდეა, რომ ორგანიზმის იმუნიტეტი კარიესის წინააღმდეგ ვაქცინაციის მეშვეობით გააქტიურონ (ისევე, როგორც ეს ხდება სხვა, ჩვეულებრივი ინფექციების დროს). საამისოდ, დნმ-ვაქცინა შეარჩიეს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზმში შეჰყავთ არა პათოგენური მიკროორგანიზმის ცილა, არამედ მისი დნმ. ასეთი ვაქცინა უფრო იაფად და უფრო გამძლედ მიიჩნევა, თუმცა ყოველთვის არ ავლენს მაღალ იმუნოგენურობას. მოკლედ, იმუნიტეტი დნმ-ვაქცინას არც ისე მონდომებით „ემორჩილება“. თუმცა, სწავლულებმა ეს პრობლემაც მოაგვარეს სალმონელას ცილების მეშვეობით და ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებულმა ცდებმა კარგი შედეგი აჩვენა. აცრილი მღრღნელების კბილები გაცილებით უკეთ იყო დაცული კარიესისგან. თუკი ეს კლინიკურ ცდებზეც დადასტურდება, მომავალში ვაქცინა, თავისი სიმარტივისა და მოხერხებულობის გამო, საკმაოდ პოპულარული გახდება.

მიირთვი ტარაკანი და გაერთე



აშშ-ში, ჯორჯიის შტატში ერთ-ერთი გასართობი პარკის დამთვალიერებლებისთვის ხელმძღვანელობამ კონკურსი მოიფიქრა. ვინც მადაგასკარულ ტარაკანს შეჭამს, მას „ამერიკულ მთებზე“ წლიური აბონემენტი, გარანტირებული ექნება. როგორც გაირკვა, ტარაკნების შეჭმის მსურველი ბევრი არ აღმოჩნდა, რადგან კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო. მათ ლავაშში გახვეული უზარმაზარი მწერი უნდა შეეჭამათ. შეიძლებოდა ასევე, გემოს შემავსებლის ამორჩევაც — მექსიკური სანელებელი ან ბარბექიუ. აღსანიშნავია, რომ ტარაკნები წინასწარ შეამოწმეს ჯანდაცვის უწყების თანამშრომლებმა და განაცხადეს, რომ ისინი ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნიდნენ. გამარჯვებულებზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი, რადგან კონკურსი ჯერ გრძელდება და თვის ბოლოს უნდა დასრულდეს. მადაგასკარული ტარაკანი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტარაკანია. მოზრდილი მწერები თაგვის ზომასაც კი აღწევენ.

„ფრიგანები“ ნაგვის ურნებიდან იკვებებიან

© Laurentiu Garofeanu/ Barcroft US

ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო პოპულარული ხდება ახალი მოძრაობა, რომლის წევრებიც თავს „ფრიგანებს“ უწოდებენ და მხოლოდ ნაგვის ურნებიდან იკვებებიან და კმაყოფილდებიან იმ საკვებით, რაც სხვა ადამიანებს მორჩათ. ფრიგანიზმი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა. მოძრაობა პროპაგანდას უწევს ცხოვრების ანტიმომხმარებლურ სტილს, ანტიგლობალიზმს, ეკოლოგიურობას და იწონებს ცხოვრების ალტერნატიულ სტრატეგიებს. მოძრაობის წევრები, რომელთაგან ზოგიერთები საკმაოდ ბევრ ფულს შოულობენ, მშვიდად აგროვებენ ნარჩენებს სუპერმარკეტებსა და კაფე-რესტორნებთან. ფრიგანები ცდილობენ, შეეწინააღმდეგონ გადაყრილი საკვების ნარჩენების რაოდენობის მუდმივ ზრდას და ყველაფერს აკეთებენ, ეს ტენდენცია რომ შეწყდეს. ისე, აშშ-ში, სუპერმარკეტებსა და კაფეებთან შესაძლოა, მართლაც უამრავი საკვები „იშოვოს“ ადამიანმა, კარგად შეფუთული ბოსტნეული, მაკარონი, იოგურტი, ფუნთუშები და სხვა. ჩვენნაირ ქვეყანაში კი „ფრიგანები“ ნამდვილად შიმშილით დაიხოცებიან, რადგან ნაგვის ურნებში საკვებად ვარგისს ბევრს ვერაფერს აღმოაჩენენ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).